პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი .. კაპ.
ოთხშაბათი
10
ოქტომბერი
1934 წ.
№ 235 (4091)

დღის ნომერში

- მოკლეს სამხრეთ-სლავიის მეფე.
- გარდაიცვალა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბარტუ.
- ნოტების გაცვლა-გამოცვლა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ხიროტასა და ტოკიოში ს. ს. რ. კ-ის სრულუფლებიან წარმომადგენელ ამხ. იურენევს შორის.
- რევოლუციური მოძრაობა ესპანეთში მთელ სახელმწიფოს მოედო.
- პროვოკაციული ჭორები საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ სადგ. პოგრანიჩნაიაზე.
- პოლონეთის სკოლების კატასტროფიული მდგომარეობა.
- საშემოდგომო თესვის გეგმა საქართველოში 5 ოქტომბრისათვის შესრულებულია 25,8 პროც.

ფართოდ გავშალოთ საგზაო მშენებლობა

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგზაო მშენებლობა საქართველოში საგრძნობლად განვითარდა. ამ ხნის განმავლობაში აიგო 193 კილომეტრი ახალი გზა რესპუბლიკური მნიშვნელობისა და 1793 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობისა, თვალსაჩინოდ გაიზარდა გაუმჯობესებულ ზედაპირიანი გზის მანძილი, გაიღვიძა ამ საქმეში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა. მისი დაინტერესება. დიდად გაიზარდა საგზაო მშენებლობის დამკვრელთა რიცხვი.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი სამუშაოებისა, რომელთა შესაფერისად გაშლამ და ჩატარებამ უნდა უზრუნველყოს ჩვენში უგზოობის საბოლოო ლიკვიდაცია.

საქართველოს რესპუბლიკას, სადაც ჩქარი ტემპებით ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ესაჭიროება სანიმუშო გზების ქსელი. სამწუხაროდ ასეთი ქსელი საქართველოში დღემდის არა გვაქვს. მიუხედავად საგრძნობი წარმატებისა, სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო ტემპებს ჩვენში ჩამორჩება საგზაო მშენებლობა.

ამის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. პარტორგანიზაციებმა და საბჭოებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი საგზაო მშენებლობას იმ ანგარიშით, რომ **უახლოესი 2—3 წლის განმავლობაში საქართველოში არსებითად მოხდეს უგზოობის ლიკვიდაცია, ყველა არსებული გზა მოყვანილ იქნას მოძრაობისათვის ვარგის მდგომარეობაში და მოეწყოს გზის წესიერი ექსპლოატაცია და კულტურულად შენახვა.**

ყველაფერი ეს სერიოზულ ამოცანებს აკისრებს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს და საბჭოებს. ისე, როგორც დანარჩენ სამეურნეო საკითხებს, საგზაო მშენებლობასაც პარტიულმა ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა უნდა მიაქციონ მეტად სერიოზული ყურადღება. საჭიროა ამ საქმეზე ზრუნვა არა „შემთხვევიდან შემთხვევამდე", არამედ სისტემატიურად, ყოველდღიურად. ზრუნვა არა სიტყვით, არამედ საქმით. დაუშვებელია ის მდგომარეობა, რომელსაც ზოგან აქამდე ჰქონდა ადგილი, როცა საგზაო მშენებლობაზე ზრუნვას მარტო სასოფლო საბჭოებს ანდობდენ და პარტორგანიზაციები ამით იხსნიდენ პასუხისმგებლობას. საგზაო მშენებლობის მდგომარეობისათვის რაიონში, სოფელში, კოლმეურნეობაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება პირველ რიგში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ვალდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ და ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ ამ მუშაობას.

მაგრამ ყველა პარტორგანიზაციას სათანადოთ როდი შეუგნია ეს. ამ მხრივ ჯერჯერობით მხოლოდ რამოდენიმე რაიონი გამოირჩევა. თვალსაჩინო მიღწევები საგზაო მშენებლობაში წელს მოიპოვეს **ზესტაფონის, გურჯაანის, სენაკის და ლაგოდეხის** რაიონებმა. მაგრამ ბევრი რაიონი შესამჩნევად ჩამორჩება საგზაო მშენებლობაში, რაც პარტორგანიზაციების უყურადღებობით უნდა აიხსნას უმთავრესად.

საჭიროა ამ ჩამორჩენას და უყურადღებობას დაუყონებლივ მოეღოს ბოლო. მშრომელი მოსახლეობის ფართო მასების საყარამოო ენტუზიაზმი უნდა მოვაქციოთ სწორ კალაპოტში, ძალების და რესურსების მიზანშეწონილად გამოყენებით უნდა საუკეთესოდ შევასრულოთ საგზაო მშენებლობის გეგმა.

გამარჯვების საკითხს აქაც ცოცხალი ადამიანები—საგზაო მშენებლობის დამკვრელი ენტუზიასტები წყვეტენ. ასეთი დამკვრელები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება (მაგ. ვ. აბულაძე და გ. კუხიანიძე ზესტაფონის რაიონიდან, სამი ძმა **დოლიძეები** აჭარისტანიდან და მრავალი სხვა). უნდა გავამრავლოთ მათი რიგები, გავზარდოთ მშრომელი მოსახლეობის ინტერესი საგზაო მშენებლობისადმი, გავაძლიეროთ პარტორგანიზაციების პასუხისმგებლობა და მათი ხელმძღვანელობა, ამ გზით უთუოდ გავიმარჯვებთ.

ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული ჩუვაშთა მოწინავე რესპუბლიკასთან. ჩვენ სიტყვა მივეცით საბჭოთა ქვეყანას, რომ საგზაო მშენებლობაში დავიჭიროთ მოწინავე ადგილს. ეს სიტყვა საქართველოს ბოლშევიკების საპატიო სიტყვაა, რომელიც საქმედ იქცევა და სავსებით გადაიქცევა კიდეც.

მოვსპოთ უგზოობა, მოვაწყოთ სანიმუშო გზების ქსელი და ამ მხრივაც გავხადოთ საქართველო ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად—ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანა.

◆

მილიციის საბრძოლო ამოცანები

მუშურ-გლეხური მილიციის წინაშე მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო ამოცანებია დასმული. სოციალისტური საკუთრების დაცვა, რევოლუციური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფა, ქუჩაში — მოძრაობის მოწესრიგება, დაუნდობელი ბრძოლა კლასობრივი მტრის და ქურდბაცაცების წინააღმდეგ — ასეთია ძირითადად ის მოვალეობანი, რომლებსაც პარტია და ხელისუფლება აკისრებენ მუშურგლეხურ მილიციას.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში მილიციას უსათუოდ აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. მას ჰყავს არა ერთი და ორი ათეული და ასეული საუკეთესო დამკვრელები, თავისი საქმის ენტუზიასტები. ამხ. ვ. მესხი, ყოფილი მოჯამაგირე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე ენერგიულად მუშაობს მილიციის რიგებში და ამჟამად მ.-გ. მილიციის კურსანტია. ამხ. ხ. გულიევი, რიგითი მილიციელი, ამხ. **არუთინოვი, ამხ. გუთაშვილი** და სხვ. მაგრამ ამ საუკეთესო დამკვრელთა გვერდით მილიციის რიგებში ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვებიან დისციპლინის დამრღვევნი, მუშურ-გლეხური მილიციის რიგებისათვის უღირსი ელემენტები. **მილიციის მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მის წინაშე მდგომ გაზრდილ მოთხოვნილებებს.**

რა არის ამისი ძირითადი მიზეზი? მილიციის მუშაკთა საგრძნობი ნაწილის პოლიტიკური და სპეციალური განათლების დაბალი დონე, მილიციის კადრების ნაწილობრივი დანაგვიანება გადაგვარებული ელემენტებით, ცოცხალი, ოპერატიული ხელმძღვანელობის უქონლობა განყოფილებათა უფროსების და პარტორგების მხრივ მილიციის ძირეულ რგოლებზე, პარტიის ზოგიერთი რაიკომისა და რაიონული საბჭოს არა საკმაო ყურადღება მილიციის მუშაობისადმი.

მილიციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, მისი რიგების განმტკიცება გამობრძმედილი პარტიული და კომკავშირული კადრებით, მილიციელთა კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლება, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა — ასეთია დღეს ის საბრძოლო ამოცანები, რომლებიც დასმულია მილიციის ხელმძღვანელი ორგანოების და, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე.

უმთავრესად სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა საქ. მუშურ-გლეხური **მილიციის დამკვრელთა პირველი რესპუბლიკური** შეკრება, რომელიც ამ ორიოდე დღის წინეთ ჩატარდა ტფილისში.

შეკრებამ ცხადყო, რომ ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო მუშურგლეხური წითელი მილიციის, კერძოდ ტფილისის მილიციის სანიმუშოდ გადაქცევისათვის. ამ მიზნით შეკრებამ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

შეკრების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის უნდა იბრძოლოს არა მარტო მილიციის ხელმძღვანელმა და ძირეულმა ორგანოებმა, არამედ თვითეულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ.

საშემოდგომო თესვის ტემპები უნდა გაძლიერდეს

5 ოქტომბრისათვის საქართველოში დათესილია 69.110 ჰექტარი ფართობი, რაც საშემოდგომო თესვის გეგმის 25,8 პროცენტს უდრის.

მიუხედავად იმისა, რომ თესვის ტემპები მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით, უფრო მაღალია, (გასულ წელს ამავე დროისათვის დათესილი იყო 38,492 ჰექტარი—გეგმის 14,2 პროცენტი), თესვის მიმდინარეობის ტემპები, სრულიად არ არის საკმარისი.

საშემოდგომო თესვა საქართველოში ძირითადად უნდა დამთავრდეს 15 ოქტომბრისათვის, წილო გეგმების შესრულების მაჩვენებლები არავითარ შემთხვევაში არ უზრუნველყოფენ თესვის ვადაზე დამთავრებას.

ცალკეული რაიონებიდან [illegible] ჩამორჩენილია [illegible] ყვარლის რაიონში, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 1,3 პროც. გურჯაანის —7,1 პროც. [illegible] —9,3 პროც. ლაგოდეხის —14,7 პროც. ლუქსემბურგის —8,2 და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—5,7 პროც. (ადს)

საბჭოთა კავშირი და იაპონია

ნოტების გაცვლა-გამოცვლა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ხიროტასა და ტოკიოში ს.ს.რ. კ-ის სრულუფლებიან წარმომადგენელ ამხ. კ. კ. იურენევს შორის

4 სექტემბერს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნ ხიროტამ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის იაპონიაში ამხ. კ. კ. იურენევს გაუგზავნა შემდეგი ნოტა, რომელიც წარმოადგენს ამხ. იურენევის მიმდინარე წლის 22 აგვისტოს ნოტის პასუხს საბჭოთა მოქალაქეების—აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მოსამსახურეების დაპატიმრების გამო.

ბატონო ელჩო, მაქვს პატივი დავადასტურო თქვენი აღმატებულებისაგან მიღება ნოტისა, დათარიღებული 22 აგვისტოთი ჩრდილოეთ-მანჯურიის რკინის გზის ზოგიერთი მოსამსახურე დაპატიმრების გამო, რომელსაც ადგილი ქონდა 13, 14, აგრეთვე 16 აგვისტოს ამ გზის აღმოსავლეთის ხაზზე.

ამის საპასუხოდ გაცნობებთ, რომ აღნიშნული დაპატიმრებანი მოახდინა მანჯოუგომ მხოლოდ თავისი იურისდიქციის განსახორციელებლად, იმ შეთქმულებებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანი იყო სამხედრო მატარებლების გადაჩეხვა ხრამში, რასაც, როგორც საბჭოთა მთავრობამ კარგად იცის, ხშირად ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთის ხაზზე უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში.

შემდეგ, იაპონიის სამხედრო სამინისტროს არასოდეს არ გამოუქვეყნებია ისეთი ოფიციალური განცხადებანი აღნიშნულ შეთქმულებათა შესახებ, როგორც მოხსენებულია თქვენი აღმატებულების ნოტაში.

[illegible] საჭირო იყოს დავსძინო, რომ იაპონიის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლად რაიმე ახალი ამბებისა და ცნობებისათვის, რომლებიც ქვეყნდება იაპონიის პრესაში.

საბჭოთა მხრით მატარებლების ზემოაღნიშნულ შემთხვევებს მიაწერენ ჩვეულებრივი ბანდიტების მოქმედებას და, კიდევ მეტი, ზოგიერთები ისე შორს მიდიან, რომ ამტკიცებენ—ეს შემთხვევები უნდა მიეწეროს იაპონიის და მანჯოუგოს განზრახ დაუდევრობას და მოქმედებასო. მაგრამ რა შესაძლო მიზეზების გამო უნდა ცდილიყო ორი ქვეყანა, რომლებსაც ეკისრებათ საერთო პასუხისმგებლობა მანჯოუგოს თავდაცვისათვის, გადაეჩეხათ ხრამში სამხედრო მატარებლები? მეორე მხრით, როცა ბანდიტები თავს ესხმოდენ მატარებლებს, ისინი არც კი სცდილობდენ ვაგონების გაძარცვას, რასაც ადასტურებს მტკიცება, რომ ეს თავდასხმები არ უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივი ბანდიტების მოქმედებად.

იაპონიის პრესის ცნობების რაოდენობის გადიდება, რაც ამას წინათ მოხდა, ჩრდილოეთ მანჯურიის რკინისგზის აღმოსავლეთის ხაზზე მარცხის შემთხვევების შესახებ, მოწმობს, თუ საერთოდ ისინი რასმე მოწმობს, იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იწვევენ იაპონიის ხალხში ასეთი შემთხვევები. საბჭოთა მთავრობის მტკიცება, რომ გაზეთების ასეთი ცნობები და აღნიშნული დაპატიმრებანი „მოწმობენ იაპონიის ზოგიერთ ოფიციალური წრეების აგრესიული ცდების ინტენსიფიკაციასო", წარმოადგენს ფაქტის სრულიად დამახინჯებას, როგორც ეს ნათელი და გასაგებია ზემოაღნიშნული განცხადებიდან.

ამასთან დაკავშირებით, მე მინდა საბჭოთა მთავრობის გულწრფელი ყურადღება მივაქციო იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო პირთა უპასუხისმგებლო განცხადებანი, მიმართული იაპონიის წინააღმდეგ, ისე როგორც საბჭოთა მთავრობის და კომპარტიის ორგანოების მიერ იაპონიის შესახებ პროვოკაციული ხასიათის წერილების და მოწინავეების გამოქვეყნება, რაც უკანასკნელ დროს ხშირ მოვლენად გადაიქცა, აშკარად ეწინააღმდეგება საბჭოთა მთავრობის მიერ აღიარებულ მშვიდობიანობის პოლიტიკას და ხელს უშლის იაპონია-საბჭოთა კავშირის ნორმალურ ურთიერთობის განვითარებას.

საბჭოთა მთავრობა კარგად უნდა იცნობდეს იმ ფაქტს, რომ მატარებლების მარცხის შემთხვევებთან და ჩრდილოეთ-მანჯურიაში მშვიდობიანობის და წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის გაზაფხულიდან სხვადასხვა დროს ბევრი საბჭოთა მოქალაქე იქნა დაპატიმრებული. მაგრამ იგი მაინც გამოჰყოფს უკანასკნელ დაპატიმრებათა ცალკეულ მაგალითებს და აშკარად ფიქრობს, რომ ამ დაპატიმრებებს აქვთ რაღაც საერთო ჩრდილოეთ მანჯურიის გზის გაყიდვის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკების შეწყვეტასთან, რომ მათ გამოიწვიეს „გზის მოქმედების დეზორგანიზაცია" და წარმოადგენენ „საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებო უფლებების უხეშ დამახინჯებას". ასეთი შეხედულება მდგომარეობაზე, რომელიც საბჭოთა მთავრობამ მიიღო, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და წარმოადგენს ფაქტის უხეშ დამახინჯებას. გზის გაყიდვის შესახებ წარმოებული მოლაპარაკებაც, რომ არ შეფერხებულიყო, კატეგორიულად საჭირო იყო მიმართვა აღნიშნულ სასამართლო ზომებისათვის, რათა უზრუნველვეყო გზის ნორმალური მუშაობა და მშვიდობიანობის და წესრიგის დაცვა ხაზის გასწვრივ. რამდენადაც საქმე ასეთ მდგომარეობაშია, იაპონიის მთავრობისათვის ძნელი გასაგებია საბჭოთა მთავრობის ნამდვილი მოტივი ყველა ზემო მოხსენებული მოსაზრებების და მტკიცებების წამოყენების დროს. იაპონიის მთავრობა სერიოზულად შეფიქრიანებულია იმით, თუ რომელი წრეები ხელმძღვანელობენ ზემოაღნიშნულ შეთქმულებებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ მატარებლების მარცხის ყველა შემთხვევაში, რომლებზედაც აქ ლაპარაკია, ამბები ხდებოდა მხოლოდ ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის აღმოსავლეთის ხაზზე.

მატარებლების უმრავლესობა, რომლებზედაც ხდებოდა თავდასხმები, იყო ისეთი მატარებლები, რომლებითაც გადაქონდათ სამხედრო მასალები, ამასთანავე არ იყო ცდები ამ მატარებლების გაძარცვისა, და ინციდენტების მსხვერპლნი უმრავლეს შემთხვევებში იყვნენ იაპონელები ან მანჯურელები, იმ დროს, როდესაც საბჭოთა მოქალაქენი იშვიათად ზარალდებოდენ. ეს მოვლენები მთლიანად განსხვავდებიან [illegible] ჩვეულებრივი თავდასხმებისაგან. ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, აღმოსავლეთის ხაზზე ამასწინად დაპატიმრებული თითქმის ყველა მოსამსახურენი ეკუთვნიან რომელიღაც არალეგალურ საზოგადოებას, რომელიც მიისწრაფვის მანჯოუგოში მშვიდობიანობისა და წესრიგის დარღვევისაკენ. გარდა ამისა, გზის ზოგიერთი მოსამსახურენი აძლევდენ დირექტივებს ბანდიტებს გზის დანგრევის შესახებ და ამარაგებდენ მათ ასაფეთქებელი ნივთიერებებით და სხვ. ამ და სხვა ფაქტების მიხედვით, აგრეთვე გარემოებათა მიხედვით ვფიქრობ ბუნებრივია, რომ ზოგიერთი საბჭოთა ქვეშევრდომი, ამა თუ იმ წესით, უნდა ჩაითვალოს შეთქმულებებთან დაკავშირებულად, რომელთა შესახებ ლაპარაკია.

ვსარგებლობ შემთხვევით დაგიდასტუროთ თქვენ. ბ-ნო ელჩო, თქვენდამი ჩემი მაღალი პატივისცემა.

(ხელმოწერა **ხიროტა**).

★

ამ ნოტის საპასუხოთ ამხ. იურენევმა 5 ოქტომბერს 1934 წელს ბ. ხიროტას შემდეგი ნოტა გადასცა:

ბატონო მინისტრო

22 აგვისტოს ნოტით მე საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით პროტესტი განვაცხადე აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ ხაზზე მოსამსახურეების—საბჭოთა მოქალაქეების უკანონო და უმიზეზოთ დატუსაღებისა და დატუსაღებულთადმი დაუსაბუთებელი და პირდაპირ უაზრო ბრალდებების წაყენების წინააღმდეგ; ამავე დროს იძულებული ვიყავი იაპონია—მანჯურიის ხელისუფლების ეს მოქმედებანი დამეხასიათებინა, როგორც დეზორგანიზაციის შეტანა გზის მუშაობაში, როგორც ტლანქი დარღვევა საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებითი უფლებების აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე და როგორც მაჩვენებელი იაპონიის ზოგიერთი ოფიციალური წრის აგრესიული განზრახვების გამწვავებისა.

4 სექტემბერს მე თქვენგან მივიღე საპასუხო ნოტა რომლის შინაარსზე მე პატივი მაქვს შემდეგი გიპასუხოთ:

1 ჩემი პროტესტის საპასუხოთ თქვენ აცხადებთ, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ ხაზზე დატუსაღებული მოსამსახურეები არიან მონაწილეები „შეთქმულებათა, რომელთა მიზანია ხრამში გადაჩეხონ იაპონიის სამხედრო მატარებლები, რასაც, როგორც საბჭოთა მთავრობამ კარგად იცის, ხშირად ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის ხაზზე უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაშიო".

ამასთანავე დატუსაღებული საბჭოთა მოქალაქეების დანაშაულის დასადასტურებლად თქვენ იმოწმებთ იმ გარემოებას, რომ მატარებლებზე თავდასხმების დროს მსხვერპლი „უმეტეს შემთხვევაში იაპონელები ან მანჯურელები იყვნენ, მაშინ როდესაც საბჭოთა მოქალაქეები იშვიათად ზარალდებოდნენ".

ამ მტკიცებასთან დაკავშირებით, მე თავს ნებას ვაძლევ დავიმოწმო შემდეგი ოფიციალურად დადგენილი მასალები.

1934 წლის 1 იანვრიდან 5 სექტემბრამდე აღმოსავლეთი ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ ხაზზე დაიმტვრა 22 მატარებელი, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი, 17 ივნისს დამტვრეული, სამხედრო მატარებელი იყო. ხოლო აღნიშნული 8 თვის განმავლობაში აღმოსავლეთის ხაზზე გაიარა 60 სამხედრო მატარებელმა, მართალია, იაპონიის სამხედრო ტვირთი იგზავნებოდა ნაკლებ საქონლის მატარებლებითაც. სულ იაპონიის სამხედრო სარდლობის განაცხადთა მიხედვით, რომელნიც აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის სამმართველოში იქნა შემოტანილი, 1934 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე, ზემოაღნიშნული სამხედრო მატარებლების ჩართვით გატარებულ იქნა 6,949 ვაგონი იაპონიის ტვირთითა და ჯარისკაცებით. იაპონიის სამხედრო სარდლობის წერილობითი განცხადების მიხედვით, რომელიც 9 აგვისტოსთვის დათარიღებული და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის უფროსის რუდის სახელზეა მიმართული, ამ რაოდენობიდან სულ დაზიანდა და დაიღუპა 47 ვაგონი, ხოლო აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზის ოფიციალური აქტების მიხედვით, რომლებიც მატარებელთა მარცხის დროს იქნა შედგენილი, მხოლოდ 26 ვაგონი დაზიანდა და დაიღუპა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ცნობებს, ნათელი გახდება, რომ არ შეეფერება სინამდვილეს პირველი და ძირითადი მტკიცება, რომელსაც შეიცავს 4 სექტემბრის ნოტა, იაპონიის სამხედრო მატარებლების ხრამში გადაგდების ხშირი შემთხვევების შესახებ.

სწორედ ასეთივე მდგომარეობაშია საქმე მეორე მტკიცების მხრივაც იმის შესახებ, თითქოს აღმოსავლეთის ხაზზე მატარებლების მარცხის დროს უმთავრესად ზარალდებოდენ იაპონელები და მანჯურელები და ძალიან იშვიათად—საბჭოთა მოქალაქეები.

იმავე ოფიციალური ცნობებით, 22 მარცხის დროს, რასაც უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის აღმოსავლეთის ხაზზე, აგრეთვე აღმოსავლეთის ხაზის რკინისგზის სადგურებზე ხუნხუზების თავდასხმის დროს სულ დაიჭრა ორი იაპონელი ჯარისკაცი, ხოლო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მოსამსახურე საბჭოთა მოქალაქეებიდან მოკლულ იქნა 9, დაიჭრა 171, ტყვედ წაიყვანეს ხუნხუზებმა 4 და გაძარცვეს 18.

ამგვარად, ოფიციალური ცნობები სავსებით უარყოფენ იაპონიის მხარეს მტკიცებებს და ამით ადასტურებენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უმიზეზოდ და უკანონოდ დაპატიმრებას.

2. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა სხვადასხვა დროს, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კუზნეცოვის ა. წ. 24 აგვისტოს განცხადება აშკარად ადასტურებენ, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის მმართველმა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამგეობის საბჭოთა ნაწილმა გააკეთეს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა უზრუნველეყოთ მოძრაობის უშიშროება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე, კერძოდ, მის აღმოსავლეთის ხაზზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებული, ზოგჯერ გმირული საქციელი ჩაიდინეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის საბჭოთა მოსამსახურეებმა. მატარებელთა, მათ შორის იაპონიის სამხედრო მატარებლის, მარცხის მთელი რიგი შემთხვევები თავიდან აგვაცილეს სწორედ საბჭოთა მოსამსახურეებმა, რომლებიც ზოგჯერ თავის სიცოცხლეს ხიფათში აგდებდენ.

ამავე დროს მანჯურიის ხელისუფლება არა თუ არ ასრულებდა ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს გზის დასაცავად, არამედ სისტემატიურად ამცირებდა მას, განსაკუთრებით უკანასკნელ წელს, ხოლო მიმდინარე წლის 19 მაისიდან სრულებით მოხსნა მცველი რაზმები საბარგო მატარებლებიდან ალმ.-ჩინეთის რკინისგზის აღმოსავლეთის ხაზზე. გასაკვირი არაა, რომ ასეთი მდგომარეობის შედეგად უკანასკნელი თვეების განმავლობაში მოხდა თქვენს ნოტაში აღნიშნული თავდასხმების გაძლიერება ალმ.-ჩინეთის რკ. გზის აღმოსავლეთ ხაზზე. სავსებით ბუნებრივია, რომ უშიშროების შემცირებამ კატასტროფიულ საზღვრამდე თანდათანობით მიგვიყვანა იმ მოძრაობის თითქმის მთლიანად ჩაკვლამდე, რომელიც დარჩა აღმოსავლეთის ხაზზე საბაჟო და სხვა ხელისუფლების მიერ მიღებული ცნობილი ღონისძიებების მიერ, რამაც განსაკუთრებით გააძნელა ხატვირთო და თვით სამგზავრო მოძრაობა ამ დიდ და საერთაშორისო მნიშვნელობის უბანზე.

3. შემდეგ, 4 სექტემბრის ნოტა შეიცავს მტკიცებას, თითქოს იაპონიის სამხედრო სამინისტროს არასოდეს არ გამოექვეყნებიოს ის კომუნიკე მარცხების შესახებ აღმოსავლეთის რკინის გზაზე, რომელსაც მე ვეყრდნობოდი 22 აგვისტოს ჩემს ნოტაში.

მიუხედავად ამისა, „ხიმბუნ რენგოს" დეპეშათა სააგენტოს 18 აგვისტოს ბიულეტენი შეიცავს სააგენტოს ცნობას, რომ ამ დღეს „სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელიც ჩამოსთვლის რკინის გზაზე უწესოების 13 შემთხვევას, რომელიც მოხდა ალმ. ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთის ხაზზე მიმდინარე წლის აპრილისა და ივლისს შუა". იგივე კომუნიკე სააგენტოს დახტურით, შეიცავს მტკიცებას, რომ „ბრძანებები ინციდენტების შესახებ გამომდინარეობდენ საბჭოთა შორეულ-აღმოსავლეთის არმიისაგან და ტარდებოდა ალმოს. ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა მოსამსახურეებისაგან შემდგარ ორგანოების მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობდენ ბანდიტურ ძალებს".

მე არ შემიძლია გაკვირვება არ გამოვთქვა, რომ ეს თქვენი მტკიცების მიხედვით „ხიმბუნ რენგოს" სააგენტოს მიერ იაპონიის სამხედრო სამინისტროსადმი უმართებულოთ მიკუთვნებული მტრული და ცილისმწამებელი კომუნიკე, მიმართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც იაპონიას ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, დღემდე არავის უარუყვია. ესეცაა, რომ საკითხმა იმის შესახებ, ვისგან გამომდინარეობს „ხიმბუნ რენგოს" სააგენტოს აღნიშნული კომუნიკე, თავისი წინანდელი მნიშვნელობა დაჰკარგა მას შემდეგ, რაც თქვენ შესაძლებლად სცანით ნოტაში გაგვემეორებიათ ამ კომუნიკეში წამოყენებული ბრალდებანი ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის საბჭოთა მოსამსახურეების წინააღმდეგ.

4. ბოლოს უარყოფთ რა იაპონიის მთავრობის ყოველივე პასუხისმგებლობას, ყოველგვარი „ცნობებისა და ახალი ამბებისთვის, რომელნიც იაპონიის პრესაში ქვეყნდებიან", თქვენ იმავე დროს შესაძლებლად სთვლით თქვენს ნოტაში „საბჭოთა მთავრობის გულწრფელი ყურადღება მიაქციოთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის გამოჩენილ პირთა უპასუხისმგებლო გამოთქმანი, მიმართულნი იაპონიის წინააღმდეგ, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის და კომპარტიის ორგანოების მიერ იაპონიის შესახებ პროვოკაციული ხასიათის სტატიებისა და მოწინავე წერილების გამოქვეყნება, რაიც ხშირი მოვლენა გახდა ბოლო დროს. აშკარად არ ეგუება საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცხადებულ ზავის პოლიტიკას და ხელს უშლის იაპონია-საბჭოთა კავშირის ნორმალურ ურთიერთობას".

ნოტის ამ ნაწილს არ შეუძლია განსაკუთრებული გაკვირვება არ გამოიწვიოს.

მართლაც, თუმცა საბჭოთა კავშირის მთავრობას არ შეუძლია პასუხი აგოს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული წერილებისა და ცნობებისთვის, მაგრამ მაინც შეუძლია არ აღნიშნოს, რომ საბჭოთა პრესა, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის ხალხთა მისწრაფებას, ყოველთვის შეუდრეკლად მხარს უჭერდა და ახლაც უჭერს ზავის და გონივრული შეთანხმების პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ატარებს იაპონიის მიმართ.

საბჭოთა მთავრობამ არ იცის არც ერთი შემთხვევა, როცა საბჭოთა კავშირში, რომელიმე, თუნდაც სულ პატარა პროვინციალური გაზეთი, გამოსულიყოს იაპონიასთან ომის და იაპონიის კუთვნილი ან მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაპყრობის მომხრედ.

ამავე დროს მე არ მჭირდება ჩამოვთვალო იაპონიის მთელი რიგი გავლენიანი გაზეთების აგრესიული და საომარი ხასიათის განცხადებანი, ვინაიდან ისინი საყოველთაოდ ცნობილია, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სწორედ ამნაირადვე საბჭოთა მთავრობა არ იცნობს „საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო პირების" აგრესიულ განცხადებებს იაპონიის წინააღმდეგ, და ამის ხსენებას თქვენს ნოტაში მე მივაწერ აშკარა გაუგებრობას.

პირიქით, საყოველთაოდ ცნობილია იაპონიის ცნობილი და არამარტო არაოფიციალური მოღვაწეების აგრესიული განცხადებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

5. ამრიგად, მე სავსებით დამტკიცებულად მიმაჩნია, რომ არ არის დასაბუთებული იაპონიის საპასუხო ნოტაში მოყვანილი არც ერთი ბრალდება. ამასთან ერთად მე უნდა აღვნიშნო, რომ იაპონიის მთავრობამ, როცა იგი სავსებით შეუერთდა იმ ბრალდებებს, რომლებიც წამოყენებული იყო იაპონია—მანჯურიის ხელისუფლების უკანონო მოქმედებათა გასამართლებლად, სანქცია მისცა ამ მოქმედებებს და ფაქტიურად წაახალისა ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლების შემდგომი თვითნებობა მანჯურიაში.

იაპონიის მთავრობის ასეთ დამოკიდებულების შედეგად, 22 დაპატიმრებულის ნაცვლად, რომლებზედაც მე ვლაპარაკობდი ჩემს 22 აგვისტოს ნოტაში, ამჟამად მანჯურიის საპატიმროებში იმყოფება უკვე 167 დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის 142 მოსამსახურე. ამასთან, როგორც უკვე ჩემი ნოტის გადაცემის შემდეგ გამოირკვა, დაპატიმრებულებს დაკითხვის დროს არაადამიანურად აწამებენ და სცემენ.

საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო 31 აგვისტოს იაპონიის მთავრობისათვის ამის გამო განეცხადებია ცალკეული პროტესტი, რომლის საფუძვლიანობა კიდევ უფრო დაადასტურეს შემდგომმა ფაქტებმა.

მაგრამ, თუმცა ამ პროტესტის განცხადების მომენტიდან უკვე ერთ თვეზე მეტმა განვლო, და თუმცა ლაპარაკია იაპონიის ადგილობრივი ხელისუფლების არაადამიანურ მოქმედებაზე, რაც ეწინააღმდეგება უფლების ელემენტარულ ნორმებს, იაპონიის მთავრობამ არ სცნო საჭიროდ მიეღო ზომები მისი ორგანოების ასეთი მოქმედების წინააღმდეგ.

ზემოაღნიშნულისა გამო, ყოველივე ეჭვს გარეშე, მიმაჩნია რა იაპონიის მთავრობის პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზაზე იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა ზემოთჩამოთვლილ მოქმედებისათვის,—საბჭოთა მთავრობამ დამავალა, მე განვიცხადოთ თქვენ, ბატონო მინისტრო, განმეორებითი პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ მანჯურიაში გრძელდება საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება და წამება და გაცნობოთ, რომ იგი მოელის იაპონიის მთავრობის მიერ ღონისძიების მიღებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ყველა უდანაშაულოდ დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მიიღეთ, ბატონო მინისტრო, და სხვ.

იურენევი.

სამხრეთ-სლავიის მეფის მოკვლისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბარტუს დაჭრის დაწვრილებითი ამბები

პარიზი, 9 ოქტომბერი. დღეს, საღამოს მარსელში ჩამოვიდა მეფე ალექსანდრე, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრ **ეფტიჩთან** ერთად მიემგზავრებოდა პარიზში. მეფეს თავს დაესხნენ. თავდამსხმელმა მეფეს დაახლოებით 20 ტყვია ესროლა, მეფე დაიჭრა სამი ტყვიით და გარდაიცვალა, ფეხში დაიჭრა აგრეთვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ბარტუ**, რომელიც მეფეს შეხვდა. თავდამსხმელი შეიპყრეს და მას იქვე ისე სცემეს, რომ გრძნობა დაკარგა. მისი მდგომარეობა უიმედოა (ადს).

პარიზი, 9 ოქტომბერი. დამატებით ცნობებით, სამხრეთ-სლავიის მეფის მკვლელი **პეტრე კელემენი** ზაგრების მცხოვრებია. მის მიერ გასროლილი ტყვიებით დაიჭრა აგრეთვე ფრანგი გენერალი ბუშე და რამდენიმე ჯარისკაცი. ფიქრობენ, რომ თავდასხმაში მონაწილეობას ღებულობდა დაახლოებით 10 კაცი. (ადს).

გარდაიცვალა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბარტუ

პარიზი, 9 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა მინისტრი ბარტუ გარდაიცვალა სისხლის გადასხმის დროს.

მინისტრთა საბჭოს სასწრაფო სხდომა მსჯელობს შექმნილი მდგომარეობის გამო.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველმა ამხ. **გირშფელდმა** ბარტუს გარდაცვალების შესახებ ცნობის მიღებისთანავე საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუცხადა სამძიმარი (ადს).

ლუი ბარტუს ბიოგრაფია

საფრანგეთის საგარეო საქმეთა გარდაცვლილი მინისტრი **ლუი ბარტუ** დაიბადა 1862 წლის 25 აგვისტოს ოლორონში (ქვემო პირინეის დეპარტამენტი).

ბარტუმ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და ეწეოდა ჟურნალისტიკას. 1889 წელს იგი პირველად აირჩიეს დეპუტატთა პალატაში. 1894 წელს იგი პირველად შევიდა მთავრობაში, სადაც დაიკავა საზოგადოებრივ სამუშაოების მინისტრის პოსტი შემდგომ წლებში იგი არაერთხელ შედიოდა მთავრობაში, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, საზოგადოებრივი სამუშაოების მინისტრი, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი და იუსტიციის მინისტრი.

1915 წელს იგი პირველად ჩაუდგა მთავრობას სათავეში. მსოფლიო ომის დროს 1917 წლის ნოემბრამდე შედიოდა პენლევეს კაბინეტში, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი. მსოფლიო ომის შემდეგ მონაწილეობას ღებულობდა ბრიანის კაბინეტში, როგორც სამხედრო მინისტრი და პუანკარეს კაბინეტში, როგორც იუსტიციის მინისტრი.

1922 წლიდან 1926 წლამდე ბარტუ იყო სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარედ. 1926 წელს იგი კვლავ შევიდა პუანკარეს კაბინეტში, როგორც იუსტიციის მინისტრი და ეს პოსტი მან შეინარჩუნა შემდგომ მთავრობებშიც 1929 წლამდის. 1930—31 წლიდან ბარტუს ეკავა სამხედრო მინისტრის პოსტი.

უკანასკნელ წლებში ბარტუ იყო სენატორად და ეკუთვნოდა „რადიკალური და დემოკრატიული კავშირის" ჯგუფს.

თებერვლის დღეების შემდეგ „ნაციონალური გაერთიანების" მთავრობის შექმნის დროს 72 წლის ბარტუ შევიდა დუმერგის კაბინეტში, სადაც დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი.

ბარტუ იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე თანამედროვე საფრანგეთში და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. ბარტუ იყო საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის წევრი. (ადს).

სამხრეთ-სლავიის მეფის ალექსანდრეს და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბარტუს მოკვლის გამო

პარიზი, 9 ოქტომბერი. საღამოს პრესა იუწყება, რომ სამხრეთ-სლავიის მეფის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბარტუს მკვლელი საფრანგეთში ჩამოვიდა სექტემბრის ბოლოს. ეროვნებით ხორვატელია. გარდაიცვალა ხმლის დარტყმით მიყენებული ჭრილობისაგან. მანამდე ის ცდილობდა თავის მოკვლას.

პრეზიდენტი **ლებრენი**, ერიო და ტარდიე გაემგზავრენ მარსელში.

უკანასკნელი ცნობებით, ჭრილობისაგან გარდაიცვალა მეფის თანმხლები, სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი ჟორჟი (ადს).

ს.ს.რ. კ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის და საგარე[illegible]თა სახალხო კომისრის ამხ. მ. მ. ლიტვინოვის სამძიმარი

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბარტუს სიკვდილის ცნობის მიღებისთანავე მოსკოვში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დავალებით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის მე-3 განყოფილების გამგემ ამხ. რუბინმა საფრანგეთის ელჩს საბჭოთა კავშირში ბ-ნ ალფანს პირადად განუცხადა სამძიმარი ამის გამო.

⁂

გუშინვე, საღამოს ს.ს.რ.კ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ დუმერგს გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბარტუს გარდაცვალების გამო, ხოლო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისამართით (ადს).

რევოლუციური მოძრაობა ესპანეთში

მთელს სახელმწიფოს მოედო

[illegible]ციონერთა რაზმებმა იერიში მიიტანეს მთავრობის და პარლამენტის შენობაზე. მუშები ტყვიებს უშენენ პოლიციას სახურავებიდან და ფანჯრებიდან, სოფლებში გლეხები სწვავენ ეკლესიებს.

პარიზი, 9 სექტემბერი. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, გუშინდელი დღის განმავლობაში რევოლუციური მოძრაობა საგრძნობლად გაფართოვდა და იგი მთელს სახელმწიფოს მოედო.

ანდალუზიის მთელ რიგ რაიონებში დაიწყო შეტაკებები პოლიციასთან და ჯარებთან: მალაგასა და გრენადაში მთლიანი ფრონტის — ალიანს ობრერეს" ორგანიზაციამ და შრომის ანარქო-სინდიკალისტურმა ნაციონალურმა ფედერაციამ ერთად გამოაცხადეს გაფიცვა.

მადრიდში საღამოთ სროლა ახალი ძალით განახლდა. რევოლუციონერთა რაზმებმა იერიში მიიტანეს პარლამენტის შენობაზე, რომელშიაც იმ დროს შეკრებილი იყვნენ მონარქისტები, მათ აგრეთვე იერიში მიიტანეს მთავრობის შენობაზე, სამხრეთის ვაგზალზე, საზღვაო სამინისტროსა და პოლიციის ზოგიერთ სადგომზე. სროლა მთელ ღამის გრძელდებოდა, მუშები პოლიციას ტყვიებს უშენენ სახურავებიდან და ფანჯრებიდან. საყოველთაო გაფიცვა გრძელდება.

ბრძოლები პროვინციაშიც გრძელდება. ჰავასის გადმოცემით, რევოლუციონერებმა დაიკავეს ქალაქი ტაუსტე (სარაგოსის მახლობლად). მეზობელი რაიონებიდან მოსულმა პოლიციამ იძულებული გახდა უკან დაეხია. სარაგოსიდან გაიგზავნა ქვეითი ჯარის დიდი რაზმი ტყვიამფრქვევებით და ზარბაზნებით.

ტარასაში (ბარსელონას მახლობლად) რევოლუციური ახალგაზრდობის რაზმებმა იერიში მიიტანეს საპატიმროზე და გაათავისუფლეს 7 პოლიტიკური პატიმარი. დაიწყო ბრძოლა ჟანდარმერიასთან. ცხოველებული ბრძოლა წარმოებს ბილბაოში. როგორც იუწყებიან, ბარსილოში (ვალენსიის პროვინცია) აჯანყებულებმა ააფეთქეს პოლიციის ყაზარმები.

სან კუგატ ვალტესში რევოლუციონერებმა ხელთ იგდეს ჟანდარმერიის ყაზარმები. ვილია ნევაში მათ იერიში მიიტანეს კარაბინერთა რაზმზე.

მთელ რიგ დიდ რაიონებში დაიწყო გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, გლეხები სასტიკად უსწორდებიან რეაქციონერებს და ხუცებს. სოფლებში, გლეხები სწვავენ ეკლესიებს.

ასტურიაში ბრძოლა გრძელდება. მთავრობამ გაგზავნა ახალი დამხმარე ძალები, რომლებმაც ისინი დიდ სიძნელეს განიცდიან, ვინაიდან რევოლუციონერებმა მათ გზები გადაუჭრეს. რევოლუციონერთა რაზმებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ოვიედოზე. ზოგიერთი ცნობებით, ეს დიდი სამრეწველო ცენტრი უკვე აჯანყებულთა ხელშია. ყველა რაიონში, სადაც ძალაუფლება მთავრობის ხელშია, წარმოებს მასობრივი დაპატიმრება. ბარსელონაში დააპატიმრეს 2 ათას კაცზე მეტი. ღამით ქალაქის განაპირა რაიონებში მოხდა მთელი რიგი შეტაკებანი. რამდენიმე ტყვია მოხვდა ნავთის რეზერვუარებს. ნავთსადგურში გაჩნდა ხანძარი (ადს).

„ლერუსის მთავრობა კარგავს წონასწორობას"

პარიზი. 9 ოქტომბერი. „ჩიკაგო დეილი ტრიბიუნის" პარიზის გამოცემის მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება: „ლერუსის მთავრობა კარგავს წონასწორობას. ოთხი დღის განმავლობაში განუწყვეტელი შეტაკებებით დაქანცული ჯარი ისტერიულად ისვრის ყოველი მიმართულებით".

კორესპონდენტის სიტყვით, რევოლუციონერებს ახლა მომატებული შანსები. რომლებიც კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ისინი მოახერხებენ გაუძლონ კიდევ რამდენიმე დღის და განაგრძონ გაფიცვა (ადს).

პროვოკაციები საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ

ხაბაროვსკი, 6 ოქტომბერი. როგორც აქ მიღებულ „ხარბინსკოე ვრემიას" 4 ოქტომბრის ნომრიდან ჩანს, ეს პროვოკაციული ფურცელი, რომელიც გამოხატავს მის ზურგს უკან მდგომი იაპონია—მანჯურიის წრეების ზრახვებს, ვერასგზით ვერ სცხრება. ანტისაბჭოთა [illegible] უბადრუკი ფანტაზია ამ შემთხვევაში [illegible] ჯოჯოხეთის მანქანებს, რომლებიც თითქოს პოლიციამ აღმოაჩინა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის აღმოსავლეთის ხაზის [illegible] გადასასვლელზე.

თავისი უტიფრობით ფურცელი იქამდის მიდის, რომ [illegible] თითქოს აღმოჩენილი ჯოჯოხეთის მანქანები სად[illegible] პოგრანიჩნაიაზე „[illegible]" საბჭოთა საკონსულოს (ადს).

პოლონეთის სკოლის კატასტროფიული მდგომარეობა

ვარშავა, 7 ოქტომბერი. ამ დღეებში პრემიერმა კოზლოვსკიმ მიიღო სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის დელეგაცია, რომელმაც პრემიერის ყურადღება მიაქცია იმ მოსახდენ შედეგებს, რაც მოყვება სახალხო განათლების ხარჯების შემდგომ შემცირებას. „პიოსის" სააგენტო აღნიშნავს, რომ კოზლოვსკის პასუხში [illegible] მოსახდენი [illegible]. პრემიერმა არ დაუმალავა სკოლის კატასტროფიული მდგომარეობა და განაცხადა, საბიუჯეტო სახსრების შემდგომ შემცირებასთან დაკავშირებით უნდა მოველოდეთ, რომ შემდგომში [illegible] იქნება სწავლის ქირა.

ოპოზიციური გაზეთები ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია სახალხო სკოლების [illegible] (შვიდწლედის ნაცვლად ოთხწლედები) და ახალი სკოლების მშენებლობის სრულიად შეჩერება.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაიონთაშორისო კონფერენციები

მეცხოველეობის საკითხებზე

სენაკი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

7 ოქტომბერს, ქ. სენაკში გაიხსნა სარაიონთაშორისო კონფერენცია მეცხოველეობის საკითხებზე, რომელსაც დაესწრო საქ. მიწსახკომის პოლიტსექტორის უფროსი ამხ. გ. ბელელაძე.

კონფერენციას დაესწრნენ: **ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკის, აბაშის; მარტვილის; ფოთის** და **ხობის** რაიკომების მდივნები; პოლიტგანყოფილებათა უფროსები, მიწგანის უფროსები, მეცხოველეობის მსხვილ საბჭოთა მეურნეობის დირექტორები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები და მეცხოველეობის მსხვილი ფერმათა გამგეები.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. **მ. პერტახიას** (აბაშა), **გ. ცაგურიას** (ჩხოროწყუ), **მ. ბარამიას** (წალენჯიხა), **ი. ბეჟუაიას** (სენაკი); **ი. გვასალიას** (ზუგდიდი), **მ. ფირცხალავას** (ხობი), **ქ. ბეჟვაიას** (მარტვილი), **გრ. მალანიას** (ფოთი) და **ბ. აფაქიძეს** („მეჯოგე") მოხსენებანი **პირუტყვის გამოზამთრებისა და მისი სულადობის შენარჩუნების მდგომარეობის შესახებ** ხსენებულ რაიონებში.

მოხსენებებსა და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე წელს, გასულ წელთან შედარებით, პირუტყვის სულადობის ზრდისა და ნამატის შენარჩუნების საქმეში ადგილი აქვს თვალსაჩინო მიღწევებს. მაგ. **ზუგდიდის** რაიონში გასულ წელს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რიცხვი 31.788 უდრიდა. მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის 34.555-მდე ავიდა (ზრდა 8,8 პროც.) ღორების რაოდენობა გაიზარდა 46 პროცენტით, ცხენის—8 პროც. **სენაკის რაიონში** განსაკუთრებით საგრძნობია პარტორგანიზაციის ბოლშევიკური ბრძოლა მეცხოველეობის განვითარებისათვის. აქ მსხვილფეხა საქონლის ზრდა 28 პროცენტს აღემატება, კამეჩის 25 პროც. ასეთივე წარმატებები მოიპოვება ფოთის რაიონში.

ნამატის შენარჩუნების მხრივ მოწინავე რიგებში დგას **მარტვილის** რაიონი, სადაც ხბოების სიკვდილიანობა საკოლმეურნეო ფერმებში დაყვანილ იქნა 1 პროცენტამდე (შარშან სიკვდილიანობა 80 პროცენტს უდრიდა), გოჭების სიკვდილიანობა შარშანდელი 17 პროცენტის ნაცვლად დაყვანილ იქნა 7.5 პროცენტამდე.

მეტი ყურადღება საკვებს

საზამთროდ პირუტყვის კონცენტრიული და უხეში საკვებით მომარაგებას ვერ ექცევა ჯეროვანი ყურადღება; მაგალითად, **აბაშის რაიონში** ადგილი აქვს ცდას შეამციროს მიწსახკომიდან მოცემული საკვების გამოყოფის გეგმა 34.508 ცენტნერიდან 23.920 ცენტნერამდე. არც საბჭოთა მეურნეობებია უზრუნველყოფილი პირუტყვის საკვებით. **ძველი სენაკის** საბჭ. მეურნეობაში 15 დღის განმავლობაში არ უძლევიათ ღორებისათვის ნოყიერი საკვები. ასეთივე მდგომარეობაა **გეჯეთის, მახათის** და **ხორგის** მეურნეობებშიც.

არც ერთ რაიონს არა აქვს შესრულებული დასილოსების გეგმა. ამის მიზეზად სასილოსე კოშკების აუშენებლად ცემენტისა და სხვა მასალის უქონლობას ასახელებდნენ. სინამდვილეში კი გამოირკვა, რომ მიწსახკომმა უზრუნველყო სასილოსე მშენებლობა ცემენტით, მაგრამ ეს არ იქნა მიზანშეწონილად გამოყენებული. **აბაშის** და **ხობის რაიონებში** სასილოსე კოშკები უწესრიგოთ, უგეგმოთ და ყოველგვარი ტექნიკური მეთვალყურეობის გარეშე აგეს. ამიტომ საჭირო გახდა ამ კოშკების ხელმეორედ გადაკეთება. ამ რაიონებში ნაცვლად იმისა, რომ იბრძოლონ საკვების ადგილობრივ მარაგის შექმნისათვის, ფაქტიურად მოითხოვენ დასილოსების გეგმების შემცირებას!

დავაჩქაროთ ბინების მშენებლობა

პირუტყვის წესიერად შენახვისა და ნორმალურად გამოზამთრებისათვის ახალი ბოსლების მშენებლობას და ძველის შეკეთებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ზოგიერთ რაიონში, მაგ. **აბაშის** რაიონში 800 სული განსაზოგადოებული პირუტყვის ბინის ნაცვლად აგეს მხოლოდ 500 სულისათვის, **ჩხოროწყუს** რაიონში 15 ბოსელი აუშენეს, ხოლო 400 სული საქონელი საერთო ბოსლის გარეშეა დარჩენილი. ასეთივე სურათია ხობის და მარტვილის რაიონებშიც.

ფოთის გარდა კონფერენციაზე დამსწრე რაიონებიდან არც ერთ რაიონს დღემდე არა აქვს შესრულებული **პირუტყვის დაბინავების გეგმა**. ჩხოროწყუმ გეგმა შეასრულა 86,6 პროც. აბაშის რაიონმა—83 პროც., სენაკის—87 პროც.

რაიონების უმეტეს ნაწილს სერიოზულად ჯერ კიდევ არ მოუკიდია ხელი ბუღების და კერატების გამოზრდისათვის, არ წარმოებს მათი სწორი აღრიცხვა.

უქონობის ლიკვიდაცია

„თვითეულ კოლმეურნეს უნდა ჰყავდეს საკუთარი ძროხა" — ასეთია პარტიის დირექტივა. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში არც ეს დავალებაა შესრულებული; გარდა **ფოთისა, სადაც უქონობა ძირითადად ლიკვიდირებულია.**

კონფერენციაზე საკმაოდ ილაპარაკეს **პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესების** შესახებ. სასურველად იქნა ცნობილი ადგილობრივი ჯიშების გავრცელება, რომლებიც კარგად ეგუება სამეგრელოს პირობებს.

მეტი ყურადღება „მეჯოგეს"

მოხსენებით გამოსული ამხანაგების (ზუგდიდი, ხობი) და მეჯოგეთა კავშირის წარმომადგენლის ამხ. ბ. აფაქიძის სიტყვიდან გამოირკვა, რომ ძალიან ცუდ პირობებში უხდება მუშაობა ამ ორგანიზაციას „მეჯოგე" როგორც ეს კონფერენციაზე აღინიშნა, **არ არის გაწმენდილი კულაკური ელემენტებისაგან. რის გამოც ჯოგის სულადობა მცირდება. ადგილი აქვს პირუტყვის მტაცებლობისა და გადამალვის შემთხვევებს.** ჯოგი არ არის უზრუნველყოფილი საზამთრო ბინებით, მწყემსებს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, მათ შორის არ წარმოებს კულტურული მუშაობა და ისინი არ არიან შეტანილი ჯგუფთან მომარაგებაში.

დასასრულს ამხ. გ. ბელელაძემ თავის ვრცელ სიტყვაში ჯამი გაუკეთა კონფერენციის მუშაობას. კონფერენციამ მიიღო ცალკე რაიონის პირობებთან შეფარდებით **კონკრეტული ღონისძიებანი** პირუტყვის საზამთროდ დაბინავებისა და ამასთან არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია

ჩავატაროთ ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით

მეტი მშრომელი ქალი საბჭოებსა და მათ ხელმძღვანელ ორგანოებში

საქართველოს ცაკმა აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ცაკებს, ყველა საქალაქო საბჭოს და რაიაღმასკომს გაუგზავნა ამხ. ფ. მახარაძის მიერ ხელმოწერილი წერილი 1934 წელს საბჭოების არჩევნების შესახებ.

ამ წერილში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია, რომელიც 15 ოქტომბრიდან იწყება, უნდა გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით, მან დაუნდობლად უნდა გამოააშკარაოს საბჭოების მუშაობაში არსებული ყველა ნაკლი, ხელი შეუწყოს მიმდინარე სამეურნეო და კულტურული ამოცანების განხორციელებას და დასახოს საბჭოების მომავალი მუშაობის პროგრამა.

საბჭოების საგადარჩევო კამპანიამ კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები, უზრუნველყოს მათი მუშაობის გარდაქმნა პარტიის მე-17 ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, დარაზმოს მშრომელთა ფართო მასები კლასობრივი მტრის უკანასკნელი ნაშთების გასანადგურებლად, გასწმინდოს საბჭოები უცხო და უვარგისი ელემენტებისაგან, ჩაბას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში საუკეთესო დამკვრელები მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან როგორც მამაკაცები, ისე ქალები, და შექმნას ყველა პირობა საბჭოების და მათი მასობრივი ორგანოების მუშაობის ხარისხობრივად გაუმჯობესებისათვის.

საანგარიშო მოხსენებათა მოსმენა უნდა გადაიქცეს საბჭოების და დეპუტატების წარსული მუშაობის გენერალურ შემოწმებად. ამასთანავე შემოწმებულ უნდა იქნას სექციების და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობაც.

საბჭოების მუშაობის შემოწმებამ უნდა მოგვცეს იმის ნათელი სურათი, თუ რა გააკეთა საბჭოებმა უკანასკნელი არჩევნების შემდეგ სოციალისტური მრეწველობის თვითეულ დარგში (მრეწველობა, ტრანსპორტი, საკოლმეურნეო მშენებლობა, აგრონომიულ ღონისძიებათა გატარება, ტექნიკური კულტურების გავრცელება, მეცხოველეობის განვითარება, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულება, მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების გაუმჯობესება, საგზაო და სასკოლო მშენებლობა და სხვ.) კერძოდ, საჭიროა გამოირკვეს, თუ როგორ შეასრულეს საბჭოებმა და ცალკეულმა დეპუტატებმა ამომრჩეველთა დავალებანი (მათთვის მიცემული დანაწესი), აგრეთვე რა მეთოდებით ახორციელებდა საბჭოთა ორგანოები თავის ამოცანებს.

საჭიროა დიდი გულმოდგინებით იქნას დამუშავებული ამომრჩეველთა სიები და იმ პირთა სიები, რომლებსაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ კულაკურ ელემენტებს, რომლებსაც არ მოეპოებათ კულაკური მეურნეობის თვალსაჩინო ნიშნები (დაქირავებული მუშაკებით სარგებლობა, სამრეწველო საწარმოების ფლობა და სხვ.), მაგრამ ეწევიან მშრომელთა ექსპლოატაციას ფარული სახით (ფართო მოხმარების საგნების ყიდვა და გაყიდვა, სპეკულაცია, მევახშეობა და სხვ.). ამასთან ერთად საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება იმისათვის, რომ პატიოსანი მშრომელები არ იქნენ საარჩევნო უფლებებს მოკლებული.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელქალთა ჩაბმას საბჭოებსა და ხელმძღვანელ ორგანოებში, საჭიროა სავსებით გამოვიყენოთ ქალთა გაზრდილი საზოგადოებრივი აქტიობა და მივაღწიოთ იმას, რომ საგრძნობლად გაიზარდოს მათი მონაწილეობა როგორც საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე, ისე საბჭოების შემადგენლობაშიც.

ამასთან ერთად საქართველოს ცაკმა საბჭოებს მისცა მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ (აძს).

ვეგებებით საბჭოების მე-7 ყრილობას

სახელობის საწარმოო ლაშქრობაში

ჩვენ **სოფ. აცანის** (ლანჩხუთის რაიონი) საბჭოს წევრებისა და ამომრჩეველთა ერთმა ჯგუფმა ამ რამდენიმე დღის წინათ განვიხილეთ მამათის სასოფლო საბჭოს აქტივის წერილი. ვღებულობთ მათ გამოწვევას. ჩვენ გადავწყვიტეთ ჩავებათ საბჭოების მე-7 ყრილობის სახელობის საწარმოო ლაშქრობაში.

ვკისრულობთ: გეგმით გათვალისწინებულ 175.000 კილოგრამის გარდა — მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 5.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. შემოდგომაზე მთლიანად დავამთავრებთ ჩაის პლანტაციების რემონტს.

ციტრუსების მყნობის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ. დამყნილი გვაქვს 28.000 ძირი მანდარინი, 2.000 ძირი ლიმონი, 100 ძირი ციტრონი და 500 ძირი ფორთოხალი. ვკისრულობთ სანიმუშოდ მოვუაროთ ამ ნამყენებს. დამატებით მოვამზადებთ ნიადაგს მანდარინისათვის 9 ჰექტარის რაოდენობით. მოვაწყობთ ინდის-ხურმის ახალ სანერგეს 1.500 ნერგით. დავეხმარებით კოლმეურნეებს, რომ მათ გაზაფხულზე საკარმიდამო ფართობში გააშენონ 20—30 ძირი მანდარინი და ლიმონი.

მოვაწყობთ მეღორეობის და მერძეობის ფერმას. შევიძენთ 16 სანაშენო ღორს და 7 ძროხას. მე-7 ყრილობის გახსნისას მივაღწევთ იმას, რომ არც ერთი ისეთი კოლმეურნე არ დაგვრჩეს, რომელსაც არ ეყოლება სანაშენო ღორი, ძროხა ან საფურე ხბო. დავეხმარებით კოლმეურნეებს იმაში, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე ყველას ჰქონდეს საკუთარი ოდა სახლი.

ჩაის ფაბრიკის მუშებისათვის ავაგებთ საცხოვრებელ ბინებსა და სასადილოს. ვაშენებთ საკოლმეურნეო აბანოს. მოვაწყობთ სოფლის წარმოება-დაწესებულებათა ელექტროგანათებას. საკოლმეურნეო კლუბს გაუკეთებთ რემონტს და ზამთარში სანიმუშოდ დავაყენებთ კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების საქმეს. ნებაყოფლობით საფუძველზე შევკრებთ 2.000 მანეთს თვითმფრინავ „ლანჩხუთის" საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლად. 10 დეკემბრამდე შევასრულებთ ხორცის და ყველის სავალდებულო ჩაბარებისა და ფულადი სახსრების მობილიზაციის წლიური გეგმებს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისა და საბჭოს საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის სანიმუშოდ ჩატარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ **აკეთის, სუფსის, ნიგვზიანის** და **შუხუთის** სასოფლო საბჭოებს.

აცანის სასოფლო საბჭოს აქტივი.

ფ. ჩხაიძე, მ. ჩხაიძე, ვ. წილოსანი, ა. პ. ჩხაიძე, ა. თ. ჩხაიძე, დ. ზენაიშვილი, სევ. ჩხაიძე, მელქ. ჩხაიძე მ. ჩხაიძე, ა. საჯაია, რ. მგელაძე. ლ. ჩხაიძე, სიო ჩხაიძე, შ. წილოსანი, რ. ჩხაიძე, ავ. ჩხაიძე, შ. შანტურიშვილი, ზ. ჩხაიძე, ევ. კვიჟიძე.

● არც ერთი საბჭო მზადების გარეშე ●

(თელავი, საკუთარი კორესპონდენტისაგან).

თელავის რაიონში გაიშალა მზადება საბჭოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიისათვის.

არჩევნებისათვის მზადების საკითხი დამუშავდა სას საბჭოების აქტივთან გაფართოებულ სხდომებზე; ამ საკითხს დაუკავშირდა მამათელების მომართვის დამუშავება; მომართვის საპასუხოდ ცალკე საბჭოები იღებდნენ კონკრეტულ ვალდებულებებს.

ამასთან დაკავშირებით პირველ ოქტომბერს ახმეტაში შესდგა სას საბჭოების თავმჯდომარეთა, პარტორგების, კომკავშირის ორგანიზატორების და კოლმეურნეობის აქტივის გაფართოებული თათბირი. დაესწრნენ: იყალთოს, ზემო-ხოდაშენის, ოყიოს, ქისტაურის, ახმეტის, ატანის და ჯოყოლოს სას. საბჭოების წარმომადგენლები. თათბირზე განხილულ იქნა საბჭოების არჩევნების მზადების საკითხი და დამუშავდა მამათის საბჭოს აქტივის მიმართვა.

მიღებულ გადაწყვეტილებაში დასახულია არჩევნებთან დაკავშირებით კონკრეტული ღონისძიებები საბჭოების მასობრივი მუშაობის გარდაქმნის, სექციების ამოძრავების, საშემოდგომო ხვნა-თესვის 25 ოქტომბრამდე დამთავრების, სას.-სამ. პროდუქტების დამზადების კვარტალური გეგმის ორი კვირით ადრე შესრულების, სახსრების მობილიზაციის გეგმის მოცემულ ვადაზე ადრე შესრულების და სხვ. შესახებ.

მარტო მატანის სას. საბჭომ აიღო ვალდებულება, რომ ორი კვირის განმავლობაში დაამთავრებს არასრული საშუალო სკოლის შენობას, დაასრულებს ყოველმხრივ ერთი თვის განმავლობაში აფთიაქისთვის დაწყებულ შენობას და მოაწყობს მის საზეიმო გახსნას ნოემბერში, გადააკეთებს საბჭოს ყოფილ შენობას და მოაწყობს მას კულტურულად, გახსნის სამკითხველოს, განამტკიცებს კოლმეურნეობებისადმი საბჭოს ხელმძღვანელობას და მასობრივი მუშაობის გაშლით უზრუნველყოფს ერთპიროვნულ მშრომელთა ჩაბმას კოლმეურნეობებში, საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმას 1800 ჰექტარის რაოდენობით შეასრულებს 20 ოქტომბრამდე, შეაკეთებს გზებს და საქონლის დაზამთრების უკეთ მოწყობის მიზნით ჩაატარებს გომურების და ბოსლების მომზადებას და საკვები პროდუქტების დაჯავშნას.

ასეთივე ვალდებულებები აიღეს ქისტაურის, ახმეტის, იყალთოს და ჯოყოლოს საბჭოების წარმომადგენლებმა.

არ. კოკილაშვილი.

გეგმა შეუსრულებელია, დანაკარგები იზრდება

აგარის საბჭოთა მეურნეობაში წელს ჭარხლის კარგი მოსავალია. გასულ წელს ჰექტარიდან მიიღეს 63 ცენტნერი მოსავალი. წელს კი საშუალოდ ღებულობენ 100 ცენტნერს.

წელს აგარის საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 55 ათასი ცენტნერი ჭარხალი. 3 ოქტომბრისათვის ჩაბარებული ჰქონდათ 14.714 ცენტნერი. ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად, ჭარხლის ამოღება უნდა დამთავრდეს 20 ოქტომბრისათვის. ხოლო გადაზიდვა — არა უგვიანეს 1 ნოემბრისა. ამრიგად, ამოღება — ჩაბარების ტემპები არადამაკმაყოფილებელია. რა არის ამის მიზეზი?

ჭარხლის დანაკარგებთან ბრძოლა მივიწყებულია. გზებზე არ არის დაწესებული მეთვალყურეობა. 4 ოქტომბერს მეურნეობის მეორე უბანში ჩვენ გზებზე ვნახეთ ავტოდან გადმოცვენილი ჭარხალი, ცნობილია, რომ ჭარხლის ამოღება და გადაზიდვა უნდა ხდებოდეს ერთსადაიმავე დღეს. მაგრამ ეს წესი აქ დარღვეულია. ამხ. **ბარისოვის, ტიხანოვის, შოსტენკოს** და **კოვალენკოს** ბრიგადის ნაკვეთებზე ნახავთ გროვად შეგროვილ გადაუზიდავ ჭარხალს, რის გამო ეცემა ხარისხი (კლებულობს შაქრიანობა). 4 ოქტომბერს მეურნეობიდან გადმოუზიდავი ჭარხლის რაოდენობა აღწევდა 5500 ცენტნერს.

ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობა არის ამ მხრივ მეორე უბანში. უბნის ხელმძღვანელი ა. გავაშელიშვილი ამ მდგომარეობას „ობიექტური" მიზეზებით ხსნის. პირველი შეკითხვისთანავე იგი იძლევა სტანდარტულ პასუხს:

— რა ვქნათ, ტრანსპორტი — არ გვყოფნის, ტრაქტორები [illegible] ჩერდება.

სინამდვილეში კი მარცვლეულის კულტურების აღების შემდეგ არ ჩაუტარებიათ ტრაქტორების კაპიტალური რემონტი, დროულად არ მოუმარაგებიათ სათადარიგო ნაწილები. ამის გამო ჭარხლის ამოღება-გადმოზიდვის დროს ვერ არის მთლიანად გამოყენებული მექანიზაცია. ამრიგად, საფრთხე მოელის სახელმწიფო დავალებათა ვადაზე შესრულებას.

უხეიროდ მუშაობს სატრაქტორო პარკი (ხელმძღვანელი **ნ. კოვალიოვი**). ეს სხვათაშორის, იქიდანაც ჩანს, რომ პარკს **დღემდე არ გააჩნია ჭარხლის ამოღება - გადაზიდვის გეგმა**. ამის გამო ბრიგადებში მექანიკური გამწევი ძალა უგეგმოთ განაწილეს. მაგალითად, 4 ოქტომბერს მეორე ბრიგადაში (ბრიგადირი **პანასოვი**), ჭარხლის ამომთხრელი ტრაქტორი დაუტვირთავი იყო. იქვე მახლობლად პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი **ტიტვინიკე**), ჭარხლის ამოთხრას „კაპაჩებით" (ჭარხლის სათხრელი ხელსაწყო) აწარმოებდნენ.

აგარის საბჭოთა მეურნეობამ ჭარხლის თესვა - დამუშავების კამპანია წარმატებით ჩაატარა. მაგრამ ეს ტემპები ვერ შეინარჩუნა ჭარხლის მოსავლის აღებაში. ყოველივე ეს ავალებს მეურნეობის დირექციას და პოლიტგანყოფილებას დაკვირვებით მოაგვარონ ჭარხლის გადაზიდვა, არ დაკარგონ არცერთი ძირი ჭარხალი. და ფართოდ გამოიყენონ ჭარხლის ამოღებაში მექანიზაცია.

გ. მინდაძე.

ფაბრიკა ელის ბამბას

(ლუქსემბურგი, საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ბამბის თესვის მაღალმა ხარისხმა, ნათესების წესიერად დამუშავებამ შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. ბამბის მოსავალი წელს ლუქსემბურგის რაიონში გაცილებით მეტია შარშანდელთან შედარებით.

ბამბის მასობრივად აღებას, აქ შეუდგენ სექტემბრის მეორე ნახევარში. რაიონის პარტორგანიზაცია მომზადებული შეხვდა ამ საქმეს. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილია მუშა-ხელით.

სექტემბერში კოლმეურნეობებს ბამბა უნდა აეღოთ წლიური გეგმის 8 პროცენტი. მაგრამ კოლმეურნეობებმა და საკოლმეურნეო ბრიგადებმა არ დაუცადეს ბამბის მომწიფებას მთლიან მასივზე და დაიწყეს **შერჩევითი კრეფა**. ამნაირი მუშაობის შედეგად, სექტემბერში ბამბის კრეფის წლიური გეგმა შესრულდა **31,2 პროცენტით.**

ლუქსემბურგის რაიონმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს სულ 230 ტონა ბამბა. პირველი ოქტომბრისათვის ჩაბარებულია 84 ტონა, ანუ წლიური გეგმის 36,2 პროცენტი.

ბამბის აღებაში ყველაზე წინ მიდის სოფელ **სარაჩოლის** კოლმეურნეობა (თავმჯდომარე **ხალმან ხუდაევი**), რომელმაც პირველი ოქტომბრისათვის შეასრულა წლიური გეგმის 58,4 პროცენტი.

მოწინავეებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ჩამორჩენილებიც. განსაკუთრებით ეს ითქმის **ქვემო და ზემო კოშაკილის** სასოფლო საბჭოებზე, სადაც ბამბის კრეფაში დიდი ჩამორჩენაა.

ლუქსემბურგის რაიონის პარტორგანიზაციების ამოცანაა — მიღწეულ წარმატებათა შენარჩუნებით გამოასწორონ ჯერ კიდევ აქა-იქ შემჩნეული ნაკლი ბამბის კრეფაში. და უზრუნველყონ სახელმწიფო დავალებათა ვადაზე — მაღალხარისხოვნად შესრულება.

შ. ქაფიანიძე.

ბორჩალოს რაიონი. ამხ. ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმა.

ხურასიჩა: ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობა (ბორჩალოს რაიონი). დამკვრელი კოლმეურნე ქალები ბამბის კრეფაზე.

ს. გოდაბრელიძე

სახურავი ფიქალი

მუდამ ჩვენ განვიცდით სახურავი მასალის დიდ ნაკლებობას. სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების და სხვ. მშენებლობას არ ყოფნის კრამიტი, სახურავი რკინა, ეტერნიტი და სხვა სახურავი მასალა.

საქართველოს დაახლოებით ესაჭიროება 2.300 ათასი კვადრ. მეტრი სახურავი მასალა, ხოლო ჩვენი წარმოება იძლევა მხოლოდ 985 ათას კვ. მეტრ სახურავ მასალას, ე. ი. აკმაყოფილებს მოთხოვნილების 41 პროცენტს. უახლოეს ორი წლის (1935—1936 წ. წ.) განმავლობაში ეს დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება (თუ ახლავე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები), ვინაიდან მშენებლობა სულ უფროდაუფრო დიდდება, ხოლო სახურავი მასალის დამამზადებელი ახალი საწარმოები არ შენდება.

სახურავი მასალის ნაკლებობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საკოლმეურნეო ბაზრებზე ათასი ცალი კრამიტი, მრეწველობაში დაწესებულ ფასებთან შედარებით სამჯერ - ოთხჯერ უფრო ძვირად ფასობს.

ამავე დროს რამდენიმე რაიონში (კახეთი. რაჭა, ლეჩხუმი, აფხაზეთი) ჩვენ მოგვეპოვება საუკეთესო ღირსების სახურავი მასალის — სახურავი ფიქალის უდიდესი მარაგი.

სახურავი ფიქალი წარმოადგენს მაღალხარისხოვან სახურავ მასალას, იგი ყოველ მხრივ უკეთესია, ვიდრე დღემდის ცნობილი სახურავი მასალა (კრამიტი, სახურავი რკინა, ტოლი. რუბეროიდი, ეტერნიტი ყავარი და სხვ.). სახურავი ფიქალი იმდენად მაგარია, რომ იგი ძალიან დიდხანს ძლებს. სახურავად გამოყენებული ფიქალი 300.500 წელიწადს ძლებს. ფიქალით გადახურული სახლები ფიქალის გაცვეთამდის იშლებიან. ხოლო ამ ფიქალს წარმატებით იყენებენ ახალი შენობების დასახურავად. საქართველოში არის ფიქალით გადახურული ეკლესია, რომელიც ათასი წლის წინათაა აშენებული. სახურავი ფიქალის 500 წელიწადზე მეტი ხანგრძლივობის მაგალითები აღნიშნულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიაც. დასავლეთ ევროპაში ფიქალით დახურულ კაპიტალურ და მონუმენტალურ შენობებს მრავალი საუკუნის ისტორია აქვთ. ინგლისში არის სამლოცველო, რომელიც გადახურულია ფიქალით 1200 წლის წინათ. ამავე დროს სხვა სახურავი მასალის სამსახურის გამძლეობა ძალიან ხანმოკლეა. სახურავი რკინა 20—25 წელიწადს ძლებს, ხოლო პირველხარისხოვანი კრამიტი 40—50 წელიწადს. სხვა სახურავი მასალები კი კიდევ უფრო ნაკლებს ძლებენ.

მთელი თავისი ხანგრძლივი დროის მანძილზე სახურავი ფიქალს ერთხელაც არ სჭირდება რემონტი და შეღებვა. რკინისაგან გაკეთებული სახურავი, თუ რეგულარულად (ყოველი 5 წლის შემდეგ) არ იქნა შეღებილი, ფუჭდება.

გარეგნული სილამაზით ფიქალისაგან გაკეთებულ სახურავს ვერც ერთი სახურავი მასალა ვერ შეედრება ფიქალის სახურავი შენობებზე ძალიან ეფექტიურად გამოიყურება და აძლევს მას თანამედროვე კულტურულ შეხედულებას. ტფილისში ფიქალით გადახურული ორი სამი სახლი (სამხედრო უწყების სახლები სადგურ ნავთლუღის მახლობლად, გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტი და სხ.) ყველას თვალში ხვდება. ტფილისი ბევრს მოიგებდა, რომ უფრო მეტი შენობები ყოფილიყო დახურული ფიქალით (საცხოვრებელი და სამრეწველო სახლების გარეგნული სილამაზეც, ჩვენს საზრუნავ საგანს წარმოადგენს).

სახურავი ფიქალი ყველა სხვა სახურავ მასალაზე უფრო იაფია. სხვადასხვა ტიპის სახურავის ჰორიზონტალური პროექციის ერთი კვადრატული მეტრის სრული ღირებულება (ნივნივების, ლურსმნის, გადასახურავად საჭირო მუშა - ხელის ხარჯები. რემონტის დახარჯვის კაპიტალიზაცია) შეადგენს:

სახურავი ფიქალი	8 მან. 44 კაპ.
სახურავი რკინა	26 მან 03 კაპ.
კრამიტი	15 მან. 34 კაპ.

იმაზე ლაპარაკი, რომ ფიქალით გადახურვას სჭირდება მეტი ლურსმანი და ხე-ტყის მასალა საამშენებლო კონსტრუქციისათვის", — მხოლოდ საქმის უცოდინარობის შედეგია. ლურსმანიც და ხე-ტყის მასალაც ფიქალით გადახურვის დროს სრულიადაც არ არის საჭირო იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა კრამიტით გადახურვის დროს.

ფიქალით დახურული სახლი.

თუ ყოველივე ამას დავუმატებთ, რომ სახურავ ფიქალს მოეპოება ისეთი თვისებები, როგორიცაა: წყალგაუვალობა, სიმკვრივე და ატმოსფერული გავლენებისადმი მაღალი სიჯიქე და, რომ მისი დამუშავებაც უფრო ადვილია (ადვილი დაპაჟება წვრილ და თახაზარ ფილებად, ადვილად იჭრება და იხვრიტება ლურსმნით),— უდაო გახდება, რომ სახურავი ფიქალი ნამდვილად წარმოადგენს საუკეთესო სახურავ მასალას.

ამ მაღალმა თვისებებმა უზრუნველყვეს ფიქალის ფართოდ გამოყენება. სახურავად დასავლეთ ევროპაში (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი) და ამერიკის შეერთ. შტატებში. ამ ქვეყნებში სახურავი ფიქალი ყველაზე უფრო გავრცელებულია ყველა დანარჩენ სახურავ მასალას შორის. ძალიან დამახასიათებელია შემდეგი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ქვეყნებში დიდად განვითარებულია მეტალურგიული მრეწველობა და სახურავი რკინა სრულიადაც არ წარმოადგენს დეფიციტურ მასალას, იქ სახურავად თითქმის სრულიად არ იყენებენ ფურცლოვან რკინას. ყველაზე უფრო გავრცელებულია სახურავი ფიქალი.

ინგლისში სახურავი ფიქალის ყოველწლიურად ამოღებული პროდუქციის ღირებულება 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება, ხოლო ამერიკაში (ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები).—5 მილიონ დოლარს. გერმანიაში სახურავ ფიქალს იყენებენ მეშვიდე საუკუნიდან და მთელ რიგ რაიონებში სახლების გადასახურავად სარგებლობენ მხოლოდ და მხოლოდ ფიქალით.

ჩვენში — საქართველოში მოგვეპოვება სახურავი ფიქალის ისეთი უდიდესი მარაგი მარტო კახეთში (ინცობა, სეფორა), რომ იგი საკმაო იქნება ექსპლოატაციისათვის მთელი ასეული წლების განმავლობაში. მარტო ორ უბანზე მაღალი კატეგორიის გამოკვლეული მარაგი უდრის 255 მილიონ ტონას. ამას გარდა, კიდევ მოიპოვება 4,2 მილიარდი ტონა. მარტო ინცობა, სადაც ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს, იძლევა იმის გარანტიას, რომ ფიქალის მარაგი დიდხანს გვეყოფა, რაგინდ მაქსიმალური რაოდენობით უნდა სწარმოებდეს მისი ყოველწლიური ამოღება.

ამ ორი გამოკვლეული საბადოს გარდა, სახურავი ფიქალი ჩვენ მოგვეპოვება საქართველოს მთელ რიგ სხვა რაიონებშიც: აფხაზეთში, ლეჩხუმში, სვანეთში, ონის რაიონში (საგლოლე), სამხრეთ - ოსეთში (მდ. ჯოჯორის, დიდი ლიახვის და ქსნის შესართავი), ყაზბეგის რაიონში (სნო-კადუცე) და სხვ. ეს საბადოები წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნან სახურავი ფიქალის მომპოვებელი მსხვილი საწარმოების ორგანიზაციის ბაზად. შეიძლება აღნიშნულ საწარმოთა დიდი ოდენობის აშენებით გამოუდევნებლადაც, მოვაწყოთ ფიქალის მოპოვება იმ ფარგლებში, რომლებიც დააკმაყოფილებენ რაიონის საჭიროებებს. მაგალითად, ონის რაიონში ფიქალის დამუშავება დაფარავს არა მარტო მოსახლეობის მოთხოვნილებას სახურავ მასალაზე, არამედ აგრეთვე მოლიბდენის მშენებლობის და კურორტ შოვის მოთხოვნილებასაც. სამხრეთ-ოსეთს სავსებით შეუძლია დაფაროს თავისი მოთხოვნილებანი ერთ-ერთი თავის საბადოს დამუშავების გზით, იმის ნაცვლად, რომ აშენოს კრამიტის ქარხნები, რომლებიც იმუშავებენ შორიდან მოზიდული სათბობით (ტყიბულის ქვანახშირით).

თუ ფიქალი პირველხარისხოვანი სახურავი მასალაა, თუ იგი სხვა მასალაზე უკეთესი და უფრო იაფია, თუ ჩვენ მოგვეპოვება ფიქალის საბადოები დიდი მარაგით — რატომ არ ვსარგებლობთ ჩვენ ამ სახურავი მასალით, რატომ ასე იშვიათად ვიყენებთ მას ჩვენს მშენებლობაში?

ამ კითხვაზე შეიძლება ერთი პასუხის გაცემა — ამ საუცხოვო სახურავი მასალის ფართოდ გამოყენებას და ამ საქმის გაშლას ხელს უშლის ერთგვარი სიზანტე, უარყოფითი დამოკიდებულება მთელი რიგი მუშაკებისა, რომელთაც შეიძლება თვალითაც არ უნახავთ სახურავი ფიქალი და მაინც გამოთქვამენ თავის აზრს, თუმცა სრულიად არაფერი იციან სახურავი ფიქალის თვისებებზე. „ფიქალი მძიმეა", „ფიქალი ფშვნადია",„ფიქალი ტყდება", „ფიქალი ძვირი ჯდება", „ფიქალს უამრავი ლურსმანი სჭირდება—ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებები არ შეეფერება სინამდვილეს და ბევრს აშინებს.

ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების შედეგად, რაც მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობაზეა დამყარებული, რამდენიმე წლით გაჭიანურდა კახეთის სახურავი ფიქალის (ს. საბუეს მახლობლად) ექსპლოატაციის დაწყება. ინტერესის უქონლობის გამო არ წარმოებდა მშენებლობის ნორმალური დაფინანსება და ამიტომ 1929 წლიდან 1934 წლამდე საწარმო სულ ემზადება ექსპლოატაციისთვის, უშვებს რაღაც გზადაგზა პროდუქციის მცირედოდენ რაოდენობას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — მთელი ამ ხნის განმავლობაში საწარმო ნახევრად კონსერვაციის მდგომარეობაშია (ყოველწლიურად იხარჯება უმნიშვნელო სახსრები, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას დაწყებულ იქნას საწარმოს ექსპლოატაცია). ესეც ზედმეტი არგუმენტია ამ საქმის მოწინააღმდეგეთა ხელში, — აი, ხომ ხედავთ, რამდენი ვიწვალეთ და არაფერი გამოვიდათ.

ჩვენში სახურავი ფიქალის პიონერია ინჟინერი **ა. ნ. კანდელაკი.** მან სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი საზღვარგარეთ და გამოუშვა სპეციალური შრომა. კახეთის სახურავი ფიქალი არაერთხელ ყოფილა გამოკვლეული და შესწავლილი საკავშირო სამეცნიერო - საგამოკვლევო ორგანიზაციებში, სადაც დამტკიცდა, რომ კახეთის ფიქალი (ინცობა და სეფორა) არა თუ არ ჩამოუვარდება, არამედ მთელი რიგი თვისებებით კიდეც სჯობნის გერმანულ და ამერიკულ ფიქალს. კავშირის სხვა საბადოთა ფიქალი (კრივოიროგი, ლარსი) ჩვენს ფიქალზე გაცილებით დაბლა დგას. კახეთის სახურავი ფიქალი იძლევა თხელ ფილებს, რომლებიც თავისი სიდიდით სავსებით აკმაყოფილებენ სახურავი მასალის მოთხოვნილებებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სახურავი ფიქალის მოპოვების დროს ვღებულობთ მეტად ძვირფას ნარჩენებს, რომელთა გამოყენება მრავალნაირად შეიძლება. ინჟ. კანდელაკის გამოთვლით, ფიქალის გამოყენება შეიძლება დაახლოებით ასნაირად. მოპოვების დროს ვღებულობთ როგორც თხელფილოვან ფიქალს სახურავი ფილებისათვის, ისე სქელფილოვან ფიქალს (ეგრედწოდებული ფილასებური ფიქალი), რომელიც თუმცა ნარჩენად ითვლება, მაგრამ ნამდვილად თავისი ღირსებით ძირითად პროდუქტსაც კი სჯობნის. სქელფილოვან ფიქალს იყენებენ ელექტროტექნიკაში ელექტროგანმამხოლოებელი დაფების, ფარების, ჩამრაზების, განმანაწილებელ დაფების და სხვ. სახით.

„ფილოვანი ფიქალისაგან, იმის გამო, რომ იგი ადვილად დასამუშავებელია, მტკიცეა, ადვილად პრიალდება და იღებება, — მზადდება ფილები სხვადასხვა სამხატვრო და ტექნიკური მიზნებისათვის: შენობათა შინაგანი შელამაზებისათვის, კიბეების საფეხურებისათვის პლინტუსებისთვის, იატაკის ფილებისთვის, პანელებისთვის, რაფებისთვის, ლაბორატორიულ მაგიდებისთვის, კედლის სასკოლო დაფებისთვის, პირსაბანებისთვის და სხვ" (ა. კანდელაკი).

ფიქალის წარმოების ნარჩენებისაგან ამზადებენ მსუბუქ ფოროვან საკედლე მასალას ბისმუტის სახელწოდებით. ფიქალის ნარჩენი ფხვნილის სახით იძლევა სილიკატის ცეცხლგამძლე საღებავებს. ქვანახშირის მრეწველობაში ფიქალის ფხვნილი იხმარება მაღნებში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად. სახურავი მასალა რუბეროიდი იჯავშნება ნამტვრევი ფიქალისაგან, რაც მას დიდ ცეცხლგამძლეობას და სიმტკიცეს აძლევს. ფიქალის ნარჩენით ტკეპნიან გზატკეცილებს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ გზატკეცილი ს. საბუეს მახლობლად. ეს გზა საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს და არაფრით არ ჩამოუვარდება ჰუდრონირებულ გზას.

დიდი სახსრებია საჭირო იმისთვის, რომ დავიწყოთ კახეთის სახურავი ფიქალის (ინცობის საბადო). ექსპლოატაცია? არც ისე დიდი. იმაზე მეტი არა, რაც საჭიროა კრამიტის საშუალო სიმძლავრის ერთი ქარხნის აგებისათვის. ამასთან განსხვავება ძალიან დიდი გამოდის — ფიქალზე პროდუქციას მივიღებთ რამდენჯერმე უფრო მეტს, ვიდრე კრამიტის ქარხანაში — ამავე დროს დეფიციტური ქვანახშირის დაუხარჯავად.

სახურავი ფიქალის თვით საწარმოს, რომელიც თელავის სადგურს დაშორებულია 22 კილომეტრით (მიდის კარგი გზატკეცილი), აქვს მეტად მოხერხებული მოედანი. საშენი ხე-ტყე მახლობლად, საუკეთესო კლიმატიური პირობები, დიდი თავისუფალი ფართობი სავარეუბნო მეურნეობის მოსაწყობად, აგრეთვე ინდივიდუალური ბოსტნების მოსაწყობად მუშებისათვის და სხვ.

საჭიროა მხოლოდ ბოლო მოვუღოთ სიზანტეს და სახურავ ფიქალისადმი უყურადღებობას, გამოვიყენოთ დასავლეთ ევროპის გამოცდილება და პრაქტიკა ამ საქმეში. საჭიროა ენერგიულად მოვკიდოთ ხელი არა მარტო კახეთის ფიქალის საექსპლოატაციოდ გადაცემას, არამედ ვიფიქროთ აგრეთვე ამ საქმის ორგანიზაციაზე სამხრეთ ოსეთში, რაჭაში და სხვა რაიონებში.

ლამაზი, მტკიცე, იაფი, დიდხანს გამძლე — ყოველივე ეს საკმარისია იმისთვის, რომ სახურავი ფიქალი ჩვენში გადაიქცეს ძირითად სახურავ მასალად.

კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების სალაროები

საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების სალაროების მოწყობის შესახებ გამოიცა 1932 წლის 2 ივლისს. დამატებით 1933 წელს 27 მაისს საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა და სამოქმედოდ შემოიღო დახმარების სალაროების ტიპიური წესდება.

ურთიერთ დახმარების სალაროების მოწყობა ჩვენში ცოტა დაგვიანებით დაიწყო. კოლმეურნეობებში სალაროების დაარსების მთავარი მიზანია კოლმეურნეთა შორის საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების განვითარება და არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება.

სალაროები ეწყობა სრული ნებაყოფლობის საფუძველზე. მათი შემოსავლის წყაროს შეადგენს: შესასვლელი გამოსაღები, რომელსაც იხდის თვითეული კოლმეურნე სალაროში წევრად შესვლის დროს; სალაროს წევრ კოლმეურნის მიერ როგორც კოლმეურნეობაში, ისე კოლმეურნეობის გარეთ მიღებული შემოსავლის პროცენტული ანარიცხები, რომლის რაოდენობასაც განსაზღვრავს კოლმეურნეთა საერთო ან სადელეგატო კრება სალაროების მოწყობის დროს; ქონება, რომელიც გადაეცემა სალაროს გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევებში; თანხები, რომლებიც სალაროების განკარგულებაში გადავა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებიდან.

დახმარება ეძლევა სალაროს წევრს როგორც ნატურით, ისე ფულით დაშავების, ორსულობის, მშობიარობის, ავადმყოფობის, შრომის უნარის მუდმივად ან დროებით დაკარგვის, ოჯახის წევრის სიკვდილის და სხვა უბედური შემთხვევების დროს.

სალაროს იმ წევრებს, რომლებიც შენიშნული იქნებიან შრომის დისციპლინის დარღვევაში, ქონების განიავება-გატაცებაში, მუშა საქონლისადმი და ინვენტარისადმი უყაირათო მოპყრობაში, დახმარება არ მიეცემათ. საზოგადოებრივ ურთიერთ დახმარების სალაროებს კოლმეურნეობებში [illegible] დანიშნულება აქვთ, რაც დამზღვევ სალაროებს ქალაქად მუშა-მოსამსახურეთათვის. როგორც ვხედავთ, კოლმეურნეთა საზოგადოებრივ ურთიერთ დახმარების სალაროების როლი და მნიშვნელობა ძალიან დიდია.

სოცუზრუნველყოფის სახკომისარიატის ცნობით, ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის გამოკლებით საქართველოში მოწყობილია 282 კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების სალარო; აქედან ქუთაისის რაიონში — 13, ქ. ფოთის გარეუბანში — 5, ახალციხეში — 20; ბორჩალოში — 28, გურჯაანში — 12, დუშეთში — 7, ვანში—9, ზესტაფონში—37; ზუგდიდში — 25, კასპში — 12, ყვარელში — 5, ლაგოდეხში — 12, ლიუქსემბურგში — 2, მარტვილში—20, სიღნაღში—2, ტყიბულში — 15, ჩოხატაურში — 6, ჩხოროწყუში — 18, წალენჯიხში — 1, ორჯონიკიძეში (ყოფ. ხარაგაულში) — 26, ხონში — 16, ახალქალაქში — 1 და ახალციხეში — 20. ამ სალაროებში ირიცხება 26.659 წევრი.

კოლმეურნეთა საზოგადოებრივ ურთიერთ დახმარების სალაროებთან ერთად ჩვენში ჯერ კიდევ არის დატოვებული გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოება (გლეხკომები), რომლებიც სტიქიური და სხვა უბედურების შემთხვევებში საჭირო დახმარებას უწევენ იმ გლეხებს, რომლებიც კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არიან გაერთიანებული. სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, გლეხკომი არსებობს: ყარაიას რაიონში — რ, სენაკში — 11, ჩხარში — 11, თელავში — 14, ქიათურაში — 23, ახალციხეში — 10, გურჯაანში — 8, ლიუქსემბურგში — 9, ტყიბულში — 11, ხონში — 11, და ყაზბეგში — 1. გლეხკომებში გაერთიანებულია სულ 19.774 გლეხი.

საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკებში არ არის დარჩენილი ისეთი კოლმეურნეობა, სადაც კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების სალარო არ იყოს მოწყობილი.

სალაროებს იქ ყველგან აქვთ საკმაოდ დიდი თანხები და ნატურალური ფონდები თავისი წევრების კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად. სალაროებს იქ მოწყობილი აქვთ საბავშვო ბაგები, თავშესაფარები, დასასვენებელი სახლები, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებები და სხვ.

მიუხედავად იმისა რომ კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების სალაროების მოწყობის შესახებ უმაღლესი ორგანოების დადგენილება საკმაოდ დიდი ხანია გამოიცა, ჩვენში დარჩენილია კოლმეურნეობები, რომლებშიაც ეს სალაროები ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. ხელი შეუწყონ არსებული სალაროების განმტკიცებას და უზრუნველყონ სალაროების მოწყობა იმ კოლმეურნეობებში, რომლებშიაც ეს სალაროები დღემდის არ არის მოწყობილი.

ი. ბახტაძე.

პურის შესყიდვა

კოოპერატივმა დაპირება ვერ გაამართლა

(ლიუქსემბურგი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ლიუქსემბურგის რაიონში ხორბლეულის შესყიდვა პირველ ხანს საუკეთესოდ მიმდინარეობდა. ადგილობრივმა კოლმეურნეებმა და მშრომელმა ერთპიროვნულმა გლეხებმა კოოპერატივებს ავანსად მისცეს პურეული და თხოვეს ლირებულების ანაზღაურებლად მოეტანა მათთვის ფართალი, ფეხსაცმელი, შაქარი, ნავთი, საპონი, ავეჯი, ხეტყის მასალა, ნალ-ლურსმანი, ურმის რკინები და სხვ.

კოოპერატივი კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ გლეხებს დაპირდა, რომ შეკვეთილ საქონელს მალე მოუტანდა, მაგრამ დაპირება ვერ შეასრულა. მოთხოვნილ საქონლის ნაცვლად კოოპერატივმა მოიტანა ევროპიული ტანსაცმელი, ველოსიპედები და სხვა ამგვარი საქონელი, რომელსაც ადგილობრივი თურქული მოსახლეობა არ ხმარობს.

ცეკავშირმა და ლიუქსემბურგის რაიკავშირმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ სოფლის კოოპერატივები პირნათლად გამოვიდენ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა წინაშე — დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილება გლეხური ასორტიმენტის სამრეწველო საქონელზე.

შ. ჭაფინაძე.

სამრეწველო საქონელი არ გამოგვიყვეს

(თელავი, საქ. კორესპონდენტისაგან)

პურის შესყიდვას თელავის რაიონის კოლმეურნეები და მშრომელი ერთპიროვნული გლეხები ხალისით გამოეხმაურენ. ყველგან გამოთქვამდენ სურვილს, რომ კოოპერატივებმა დააჩქარონ სამრეწველო საქონლის მიტანა პურის შესასყიდლად. სოფ. კონდოლის ერთპიროვნულმა გლეხებმა და კოლმეურნეებმა პირველ 2 დღეში კოოპერატივს მიყიდეს 300 ფუთი პური, სოფ. ჯიყაურაში — 400 ფუთი, მაღრაანში — 300 ფუთი, მატანში — 200 ფუთი.

მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, სამომხმარებლო კოოპერაციას რომ თავი შეეწუხებია და მეტი სამრეწველო საქონელი მოეტანა. ცეკავშირის მოშაკებმა თელავის რაიონს სამრეწველო საქონელი ცოტა რაოდენობით გამოუყვეს — რაიონი დასეტყვილია და მარცვლეულს ბევრს ვერ გაასაღებსო რაც, რასაკვირველია, სწორი არ არის.

ცეკავშირმა ეს ნაკლი მალე უნდა გამოასწოროს და თელავის რაიონს საკმაო რაოდენობის სამრეწველო საქონელი გამოუყოს, რაიკავშირმა კი საქონელი დაჩქარებით უნდა მიაწოდოს კოოპერატივებს.

არ. კიკილაშვილი.

პურის შესყიდვა 6 ოქტომბრისათვის

საქართველოში 6 ოქტომბრისათვის შესრულებული იყო პურის შესყიდვის სექტემბერ - ოქტომბრის გეგმის 78.8 პროც.

პურის შესყიდვა კარგად არის დაყენებული იმ რაიონებსა და სოფლებში, სადაც პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამ საქმეს თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და პურის შესასყიდლად კოოპერატივებში ისეთი სამრეწველო და სამეურნეო საქონელი მოიტანეს, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ესაჭიროება.

მაგალითად, სტალინისის რაიონს 6 ოქტომბრისათვის პური შესყიდული ქონდა სექტემბერ - ოქტომბრისათვის ნავარაუდევი რაოდენობის 115,3 პროც., გორს — 113,5 პროც., სამხრეთ - ოსეთს — 100 პროც., ალბულად - მანგლისს — 100 პროც.

თელავის რაიონს, სადაც პურის შესყიდვა გათვალისწინებულიც კი არ იყო, 6 ოქტომბრისათვის შესყიდული ჰქონდა 2.510 ფუთი პური.

ტფილისის საბავშო ბიბლიოთეკებში

— მოთხრობა წავიკითხოთ!

— არა ლექსი წავიკითხოთ!

— ჯერ მოთხრობა, მერე ლექსი!

ასეთ არჩევაში იყვნენ 8-ე სკოლის მეორე კლასის მოწაფეები, რომლებიც გაკვეთილების შემდეგ ესტუმრენ ლუნაჩარსკის სახელობის ცენტრალურ საბავშო ბიბლიოთეკას.

— თანახმად უმრავლესობის სურვილისა, წავიკითხავთ შანშიაშვილის მოთხრობა „ზაქეს" — ეუბნება ბავშვებს ბიბლიოთეკის გამგე შ. გალდავა.

კითხვა დამთავრდა. გოგონამ დაიწყო წაკითხულის მოყოლა. მაგრამ... თითქოს განგებ, მაინცდამაინც ეხლა წივის ტრამვაი (პლეხანოვის გამზირზე), ეხლა უყვირის ავტო მოპირდაპირეს, ეტლი მოქრის და ცხენების თქარა-თქური ასფალტზე ისე ისმის, როგორც ხმა სამჭედლოდან. ერთი სიტყვით, ქუჩის ხმაური ისე ისმის, რომ თითქოს ყველაფერი ეს ქუჩაზე კი არა, ამ ოთახში ხდებოდეს. პატარები ყურებზე ხელს იფარებენ, წარბებს წყრომით მოღუშავენ და გოგონას შენიშნავენ:

— არაფერი გვესმის, ხმამაღლა!..

გოგონაც იკრებს ძალას, იმაღლებს ხმას და იწყებს მოყოლას. მას მალე ეშველებიან სხვებიც და ბოლომდის ჰყვებიან წაკითხულის შინაარსს. ერთი ლექსი კიდევ წაიკითხეს დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ.

ამ ბიბლიოთეკაში მოდიან, როგორც პატარა ისე მოზრდილი მოწაფეები და ბინის სივიწროვის გამო ყველანი თავს იყრიან ერთ ოთახში. ამ ოთახშივეა კარადები 14.115 წიგნით. ყოველი მკითხველის მოთხოვნაზე ბიბლიოთეკის მომუშავე აღებს კარადას, ეძებს წიგნებს, რითაც მყუდროება ირღვევა ბავშვების ყურადღება იფანტება— განსახკომის დადგენილებით ამ ბიბლიოთეკაში მეცადინეობა ორწყებად უნდა მოეწყოს. მუშაობის უკეთ გაშლის მიზნით უნდა გამონახოს ბიბლიოთეკისათვის შესაფერი ბინა 11 ოთახის რაოდენობით. ბიბლიოთეკა გადატანილ უნდა იქნეს ორჯონიკიძის რაიონში რადგან ამ რაიონში საბავშო ბიბლიოთეკები სრულებით არაა, ბავშთა რაოდენობა კი დიდია. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას მოუთმენლად მოელიან ბიბლიოთეკის მომუშავენი, რადგან ერთის მხრივ ბინის სივიწროვე და, მეორეს მხრივ ქუჩის ხმაური შეუძლებელს ხდის ბიბლიოთეკაში ნორმალური მუშაობის წარმოებას.

იქვე მახლობლად ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საბავშო ბიბლიოთეკაა. ის მოთავსებულია მყუდრო და კარგ ბინაზე.

— ჩვენთან მომაგრებულია 6-ე ჰასაკ გადაცილებულთა სკოლა. იქიდან ჯგუფურად მოყავთ მოწაფეები, მათთან ვაწყობთ მხატვრულ კითხვას. ინდივიდუალურად მკითხველ ბავშთა რიცხვი მცირეა! —ამბობს ბიბლიოთეკის გამგე ა. ნიორაძე.

— ჩვენს ბიბლიოთეკაში ეხლა მხოლოდ 1684 წიგნი გვაქვს. უწინ მეტი იყო.

წიგნების სახლში გაცემა.

*

— როგორ?!

— როგორ და — ვინც წაიღებს წიგნს, უკან აღარ აბრუნებს!

— მაგალითად?

— სათითაოდ მოგახსენებთ,—დავიწყოთ არტის ქარხნიდან: ეს ქარხანა ჩვენზე იყო მომაგრებული. წაიღეს 35 წიგნი. როცა დაბრუნება მოვითხოვეთ, გვითხრეს: „ვინ ხართ, თქვენ არც კი გიცნობთ, თქვენგან არაფერი წაგვიღია". ამის შემდეგ ქარხნის დირექციას ხელშეკრულების ასლი გავუგზავნეთ, მათ მიერ წაღებული წიგნების აბონემენტი და ვთხოვე წიგნები დაებრუნებიათ. ჩემს წერილზე ერთ-ერთ თანამშრომელს წაუწერია: „ჩვენ თქვენგან არცერთი წიგნი არ წამოგვიღია". სხვა რა გზა მაქვს, სასამართლოს უნდა მივმართო — ნაღვლიანად ასკვნის ბიბლიოთეკის გამგე.

— ერთი სკოლის წარმომადგენელმა აიდაროვამ გვთხოვა წიგნები. უარით გავისტუმრე, რადგან ორი წლის წინათ მათ ჩვენგან წაიღეს 604 წიგნი და მიუხედავად მრავალჯერ მოთხოვნისა, დღემდე არცერთი წიგნი არ დაგვიბრუნეს. აიდაროვამ მოიტანა პოლიტგანის მოწერილობა და მეც ამის საფუძველზე იძულებული გავხდი გამეცა 39 წიგნი. ეხლა დაბრუნება რომ მოვთხოვე, აიდაროვამ ასე მიპასუხა: „მე დროებით ვმუშაობდი, ამ დაწესებულებაში ცუდი ბავშვები იყვნენ, კარადას რომ დაკეტდი, ღია დამიხვდებოდა, მათ წიგნები დაიტაცეს, მე რა შუაში ვარ". რა გაეწყობა აქაც სასამართლოს უნდა მივმართოკვლავ დაასკვნა გამგემ ნაღვლიანად.

— პირველმა სტამბამ ჩვენგან წაიღო 69 წიგნი და არ გვიბრუნებს. ეს სტამბა რამდენიმე ნაბიჯითაა დაშორებული ჩვენგან, გთხოვთ თქვენ წამომყევით იქ, რომ თითონვე ნახოთ, რას მეტყვიან!

წავედით, სტამბაში არც კულტმომუშავე, არც დირექტორი, არც მისი მოადგილე არ დაგვიხვდა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე პარტიული კომიტეტის მდივანი ვარ, რა გნებავთ?

მოუყვა მას ნიორაძის ქალი უგზო-უკვლოდ დაკარგულ 69 წიგნის ისტორია.

— ოო, მე ამ საქმისა არაფერი ვიცი, ეს რა ჩემი საქმეა. ჩემთან რა გინდათ, მე რა წამოვიღე თქვენგან? ვინც თქვენგან წიგნები წამოიღო, ის ეხლა აქ აღარ მუშაობს. წიგნები აქ არაა!

— როგორ თუ არაა?!

— თუ არ გჯერათ სასამართლოში იჩივლეთ.

— ამხანაგო, ეს რა პასუხია, კაცი წასულა, თორემ დაწესებულება ხომ მას არ გაჰყოლია?! როგორ არ გრძნობთ ამდენ პასუხისმგებლობას?! — ცხარობს ნიორაძის ქალი გახურდა კამათი. „ხმაურობაზე" თავი მოიყარეს სტამბის მუშებმა სამბარში ჩაერიენ.

— რაც წამოგვიღია, უკანვე უნდა დავუბრუნოთ, ასე როგორ შეიძლება. — ამბობს ერთი მუშა.

— ერთ წიგნს მე ეხლავე მოგიტანთ. — თქვა მეორემ. წავიდა და ორიოდე წუთში შემოიტანა კირხსიარში ამოსერილი ერთი წიგნი. ქალმა წიგნი გამოართვა, გადაშალა.

— აი, ჩემი ბიბლიოთეკის ბეჭედი, ჩემი წიგნია!

— ასეა ამხანაგო, როცა არ მივცემ წიგნებს, ათასგვარ მოწერილობას მოიტანენ, წაიღებენ წიგნებს და შემდეგ აღარ იძლევიან!—ამბობს ნიორაძე.

როზა ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანამ 54 წიგნი წაიღო, ერთსაც არ აბრუნებს.

საკვირველია, რათ არ აქცევს განსახკომი ყურადღებას ამ ქარცულ საბავშო ბიბლიოთეკას?

მერი ადამია.

ცენტრალური საბავშო ბიბლიოთეკა. ყველაზე უცოსხი მკითხველები: პატრიკსიანი ემა და ულენტი ლია.

უნიათო გამოხმაურება

(სოხუმი).

კვების მრეწველობის საწარმოებში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის საკავშირო დათვალიერებასთან დაკავშირებით—სოხუმის საკვები პროდუქტების ფაბრიკებში ამიერ-კავკასიის მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილმა დამთვალიერებელმა კომისიამ სექტემბერში ჩაატარა გამოკვლევა.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ სოხუმის ფაბრიკა-ქარხნებში საკავშირო დათვალიერებას პირველ ხანებში უნიათოდ გამოეხმაურენ. მართალია ყოფილა დამუშავებული საკ. კ. პ. (ბ) 22 დეკემბრის მომართვა კვების საწარმოებში და კონკურსიც გამოუცხადებიათ, მაგრამ ზოგიერთ საწარმოებში მას არ მოყოლია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. ასეთია კერძოდ სოხუმის პურის საცხობი ქარხანა, სადაც გამეფებული იყო უსუფთაობა. ცუდი იყო გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. რის გამოც უკანასკნელ ხანებში მოიხსნა ქარხნის დირექტორი—ბოცკო და „აფხაზპურტრესტის" მუშაკი—კოვტუნი, რომელნიც საჯაროდ იქნენ გასამართლებული.

დათვალიერების დაწყებამდე სოხუმის სასაკლაო მეტად ცუდ სანიტარულ მდგომარეობაში იყო. სასაკლაოში არ ირეცხებოდა იატაკი, არ სუფთავდებოდა ხელსაწყოები და ინვენტარი, ეზოში ჭუჭყი და სიბინძურე იყო გამეფებული. არც ლაბორატორია ჰქონდათ სათანადოდ მოწყობილი, არ ჰქონდათ სანიტარული კამერები და სხვ. დათვალიერებაში ჩაბმის შემდეგ სასაკლაოს ხელმძღვანელებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. რის გამოც ამჟამად შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

რაც შეეხება საკონსერვო ქარხანას, ის პირველ აგვისტომდე არ ჩაბმულა საკავშირო დათვალიერებაში. ქარხანაში არ იყო დაცული სანიტარული წესები, მუშებს არ ჰქონდათ სპეცტანსაცმელები, არ სუფთავდებოდა საამქროები მტვერისა და ჭუჭყისაგან. მეტად დაბალი იყო ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ქარხნის ასეთი არანორმალური მუშაობისათვის მოიხსნა ქარხნის დირექტორი ამხ. ლევიცკი.

იმ საწარმოებში კი, სადაც ხელმძღვანელებმა ნამდვილად მოკიდეს ხელი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 22 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე საწარმოო პროცესების მოწყობას, საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწიეს მაგალითისათვის ავიღოთ სოხუმის საშაქარლამო ფაბრიკა და ლიმონათის ქარხანა. ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმა კარგად გაიგეს, რომ სანიტარული წესების დაცვას ესაჭიროება მტკიცე სამეურნეო მეთვალყურეობა და აუცილებელია სისტემატიური მასობრივი აღმზრდელობითი მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შორის. სწორედ ამის მეოხებით მიაღწიეს ამ საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მტკიცედ გატარებას.

ი. ბახტაძე.

წერილები რედაქციისადმი

„იგზავნება უკანვე"

მიმდინარე წლის თებერვალში საქ. სამრეწველო და საბინაო მშენებლობის მუშაკთა ცენტრალურმა გამგეობამ რიონჰესის აღმშენებლობას გაუგზავნა 3 ფასიანი დაზღვეული პაკეტი. პაკეტში ეწყო 4.000 მანეთად ღირებული 15 საგზური. ამ საგზურებს ცენტრალური გამგეობა უგზავნიდა რიონჰესის საუკეთესო დამკვრელებს, რიონჰესის გახსნასთან დაკავშირებით.

სამივე პაკეტზე ასეთი მისამართი იყო: „ქ. ქუთაისი, რიონჰესის აღმშენკომს" (როგორც ვხედავთ, მისამართი გასაგებია). ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ სამივე პაკეტი (№ 373, 400, 247) მიიღო თებერვალში. მთელი 8 თვის განმავლობაში არ გაგზავნა დანიშნულებისამებრ.

15 სექტემბერს კი, „ადრესატის მოუნახაობის გამო", პაკეტები დაუბრუნეს ცენტრალურ გამგეობას წარწერით: „იგზავნება უკანვე". ამასობაში ყველა საგზურებს გაუვიდა ვადა.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს კავშირგაბმულობის ქუთაისის აპარატის უპასუხისმგებლო მუშაობას.

წყალში გადაიყარა 4.000 მანეთი, გაცდა 15 საგზური. საინტერესოა, ვის აგებინებენ პასუხს.

შ. ლ—ი.

*

მოსავალს გულშემატკივარი დამცველები სჭირდება

(გაგრა, საქ. კორესპონდენტისაგან)

გაგრის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში თამბაქოს აღებულ მოსავალს არ უვლიან. ფაქტები: კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის" ფარდული უპატრონოდ არის მიტოვებული, რის შედეგადაც ადგილი აქვს მოსავლის დატაცების შემთხვევებს.

ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის დარაჯი კაკუბერია სამუშაო საათებს აცდენს და ხშირად იგვიანებს სამუშაოზე, რაც კოლმეურნეთა შორის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

თითქმის ასეთივე პირობებშია ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა და აგრეთვე კოლმეურნეობა „წითელი მზე".

საჭიროა გაგრის რაიონულმა ორგანიზაციებმა გამოყონ დამკვრელი ენთუზიასტი კოლმეურნეები, რომლებიც ფხიზლად დაიცავენ სოციალისტურ მინდვრებს მტაცებლებისაგან.

გ. მ—ნი.

კულაკის სამსახურში

ა.-წ. 2 ოქტომბერს ჩვენ ვიყავით გორის რაიონის სოფ. ახრისის კოლმეურნეობაში. აქ წავაწყდით კოლმეურნეთა სამართლიან უკმაყოფილებას, რომლის მიზეზი შემდეგია:

საბარგო ავტომანქანა, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებით მობილიზებული იყო კოლმეურნეთა შაქრის ჭარხლის გადასაზიდად „სოიუზტრანსის" გორის განყოფილების გამგის მოადგილის მოქ. დავიდოვის თანხლებით, შაქრის ჭარხალს უზიდავდა ამავე სოფლის მცხოვრებ კულაკ ვათიაშვილს.

როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე შეეკითხა მოქ. დავიდოვს: „რატომაა, რომ მანქანა კულაკს ემსახურებაო", მან უპასუხა: „ხმის შესახებ განკარგულება მაქვსო".

ზედმეტი არ იქნება აქვე აღინიშნოს, თუ ვინ არის დავიდოვი, წინათ მას გორში ქონდა სპირტის სახდელი ქარხანა. არ არის გასაკვირი, რომ ქარხნის ყოფილმა მესაკუთრემ კულაკის ინტერესები დაიცვას.

კატეგორიულად მოვითხოვთ მოქ. დავიდოვის მკაცრად დასჯას და იმ პიროვნების გამომჟღავნებას, ვინც ანტიპარტიულ განკარგულებას იძლევა და კულაკს ჰფარველობს.

გორის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ა. ჭუმბურიძე.

გორის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყ. უფროსის თანაშემწე ა. თურაზაშვილი.

*

პატარიძის ოინები

სოფ. ბრეთის (სტალინისის რაიონი) ხილბოსტნეულის დამამზადებელი პუნქტის გამგედ ითვლება გრ. პატარიძე, რომელიც მშრომელ გლეხებს ატყუებს წონაში და ითვისებს ამ გზით გადანარჩუნებულ ზედმეტ ხილბოსტნეულს.

ავალაპარაკოთ ფაქტები: სოფ. დირბის მცხოვრებ გლეხს ვანო დოლიაშვილს ხილბოსტნეულის ჩაბარებისას პატარიძემ წონაში დააკლო 15 კილო, რაც თვითონ მიითვისა. ხილის ჩასაწყობი ყუთის წონას პატარიძე აჩვარიშობს 18 კილოს, მაშინ როდესაც ფაქტიურად ყუთი იწონის 16 კილოს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს კოლმეურნეთა შორის.

უნდა ითქვას, რომ პატარიძის ასეთი მავნებლური მოქმედება კარგად იციან რაიაღმასკომის დამზადების სექტორში და რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორაში, მაგრამ არავითარ ზომებს არ ღებულობენ.

საჭიროა პატარიძეს ასეთ „მოღვაწეობისათვის" სასტიკი პასუხი მოეთხოვოს.

მაჯა

საგაზეთო შენიშვნები

მოწინავე წერილი სარაიონო გაზეთში

თიანეთის სარაიონო გაზეთს—„კოლექტიურ მესაქონლეობას" ივნისში არ მიუცია არც ერთი საკუთარი მოწინავე წერილი.

შეუძლია თუ არა გაზეთს, საერთოდ, და სარაიონო გაზეთს, კერძოთ, უარი სთქვას მოწინავე წერილებზე და ამის მაგიერ დაკმაყოფილდეს ცენტრალურ გაზეთებიდან წერილების გადმობეჭდვით, ან ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა გამოქვეყნებით?

გაზეთის თითოეული ნომერი უნდა წარმოადგენდეს არა „შემთხვევითი" მასალების მექანიკურ შეერთებას, არამედ მოფიქრებულ და ორგანიზებულ მასალის მწყობრ სისტემას.

თვითეული ნომრის გეგმაში მოწინავე წერილს უნდა ეჭიროს ცენტრალური ადგილი. მოწინავე წერილი უნდა გამოხატავდეს ნომრის ერთგვარ ცენტრალურ იდეას, მოქმედების კონცენტრირებულ პროგრამას დროის განსაზღვრულ ნაკვეთზე.

გაზეთი, რომელიც სისტემატიურად უარს ამბობს საკუთარ მოწინავე წერილზე, ამჟღავნებს თავის უუნარობას, თვითდინებაზე დამყარებულ მუშაობას. ნომერი უმოწინავოთ—ეს იმას ნიშნავს, რომ გაზეთი მოკლებულია უნარს მკითხველის ყურადღება შეაჩეროს მომენტის ძირითად საკითხებზე.

თვითეულ რაიონს, საერთო ამოცანებთან ერთად, აქვს თავისი განსაკუთრებული საკითხები, რომლებიც რაიონული გაზეთისაგან მოითხოვენ გარკვევასა და გაშუქებას.

მოწინავე წერილი რაიონულ გაზეთში უნდა იყოს მოკლე, კონკრეტული და მასებისათვის ადვილად მისაწვდომი.

სათაური და „ქუდი" მასობრივ გაზეთში

„სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა მაღალ საფეხურზე. ბელადის მითითებები კოოპერაციის მუშაობის პროგრამაა. ამხ. კოოპერატორებო! საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე თქვენ გაკისრიათ უდიდესი საპასუხისმგებლო ამოცანები. თქვენი უმთავრესი ამოცანაა: ყოველმხრივ დააჩქაროთ საქონლის ბრუნვა, ებრძოლოთ წუნს, მშრომელთა ფართო მონაწილეობით გაშალოთ ბრძოლა საბჭოთა კულტურული ვაჭრობისათვის".

ასეთი სათაურით, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „ქუდით"*) ათავსებს გურჯაანის სარაიონო გაზეთი—„კოლექტიური შრომა" (№ 5) მასალას საბჭოთა კულტურული ვაჭრობის შესახებ.

გაზეთი ადგილისა და სიტყვების არანაკლებ სიუხვეს იჩენს ჩვეულებრივი სათაურებისათვისაც.

რა მნიშვნელობა აქვს სათაურს და საჭიროა თუ არა ასეთი ვეებერთელა „ქუდები" და სათაურები მასობრივ გაზეთში?

სათაური წარმოადგენს აგიტაციის, პროპაგანდის და მკითხველთა ორგანიზაციის ძლიერ იარაღს. სათაური—ტექსტის გამოკვეთილი ლოზუნგია. მკაფიო და პოლიტიკურად მახვილი სათაური წარმოადგენს მკითხველთა მასებზე კლასობრივი ზეგავლენის უძლიერეს საშუალებას.

ამიტომ მოკლე, მაგრამ გამოკვეთილი სათაური გაზეთის მაღალხარისხოვანი მუშაობის ერთერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

სათაურის ზომას უმთავრესად განსაზღვრავენ: მასალის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა, გვერდის ფორმატი, სვეტების რიცხვი, ტექსტის რაოდენობა და მასალის ადგილმდებარეობა გვერდზე.

---

*) „ქუდი" საგაზეთო ენაზე ეწოდება სათაურს, რომელიც აერთიანებს თემატიურად ერთგვარ წერილებს, შენიშვნებს, კორესპონდენციებს.

ა. ქუთათელი

უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა

ჩვენი მეგზური ამხ. ილო ციხისთავი გზატკეცილიდან უხვევს, ტყეში შედის და მოკლე ბილიკით მიუყვება ბაკურიანიდან ცხრაწყაროს უღელტეხილისკენ მიმავალ აღმართს.

კოლგებივით გადაშლილი, უზარმაზარი ხეები—რცხილა, ურთხმელა და ვერხვი შერეულია ნაძვსა და ფიჭვში. მზის პირველი სხივები აშუქებს ხის კენწეროებს. ალპიურ ზონის მაღალი, ნოყიერი და ცვრიანი ბალახი მუხლამდე გვასველებს. ბალახში ათასნაირი ყვავილია: თეთრი, წითელი, ზარნარი და ტყის შროშანი. რაც უფრო მაღლა ავდივართ ცხრაწყაროს უღელტეხილისაკენ, მით უფრო კლებულობს ტყე, დაბლდება და იგვაჯება. მთის დაგრეხილი, როკიანი ჭნაკი და ნაჯერხალი შეცვალეს ჯაგებმა. წიფლისა და ნაძვის მაგივრად ჰქელი დეკა, პატარა ბოჩქები და იალაღები ძომრავლდებ ყვავილოვანი, ზარნაირნი. შემდეგ ესეც გაქრა და დარჩა მხოლოდ კომშველებული მთის კალთები მერქნიან მცენარეთა საზღვრიდან ბალახეულ მცენარეულობაზე გადასვლა მეტისმეტად შესამჩნევია აქ თვალისთვის. მიუახლოვდით მთის უმაღლეს, ზეალპიურ ზონას. კიდევ რამდენიმე აღმართი და ჩვენ დავინახეთ უღელტეხილი: ცხრაწყარო. უღელტეხილზე გამშენებულია სადარაჯო სახლი და თავლა. პატარა მოედანზე ახალქალაქისკენ მიმავალი ფურგონები დგანან და ჯავახეთიდან ბაკურიანში მიმავალი ჩალვადრები. ექსკურსანტები მოწყურებულ ხარივით სვამენ ცხრაწყაროს ერთერთ ხაკადს, ყინულივით ცივსა და ანკარას. გაოფლიანებულ ხელებს იბანენ ცივი წყაროს წყლით, რომელიც თითის ძვალსა ტეხს. უღელტეხილი მზეს ეფარება და ჩრდილში სუსხიანი ნიავი უბერავს. ცხრაწყაროზე იუტანელი ყინვა და ქარბუქი იცის. აქ არა ერთი მწყემსი, მგზავრი და საქონელი გაყინულა. გზას აცდენილა და ნამქერით დაფარულ უფსკრულში გადაჩეხილა.

უღელტეხილი - ცხრაწყარო იმყოფება 2.400 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამ უღელტეხილის იქით სახელდობრ —ქციაში,—თვალუწვდენი საბალახო ადგილებია, სადაც ახლა კახეთიდან მორეკილი ცხვარი გაშლილა. თითქმის 80 პროც. საქართველოს მეცხვარეობისა—ქიზიყი. ხაზილობრივ კახეთი, გარეკახეთი და მანგლის-წალკის მეცხვარეობა იკვებება თრიალეთის საძოვრებზე. ასეთებია: ქცია. ორხეველი. აბული. განძა. აბანოები. ქოროლი და სხვ. უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა თავის ცხვარს ზაფხულობით ქციაში მორეკავს ხოლმე საბალახოდ. აი, იქ უნდა მივიდეთ, მაგრამ ცოტა ხნით ცხრაწყაროზე დასვენება ვარჩიეთ. ქცის მივუახლოვდით. მთის მწვანე კალთებზე მიფენილია ცხვრის ფარა. გაშლილ ტაფობზე მეცხვარეთა საცხოვრებელი სახლები, ფერმები და ფარეხები ჩანან. იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის წინად ცხოვრების ნიშანწყალიც კი არ იყო და ყველაფერი დუმდა, ახლა საბჭოთა მეურნეობის, საბჭოთა მეცხვარეების მხიარული ერიამული ისმის. ჯოგის ძაღლებმა შემოგვიტიეს. წელში მათრახ გაჩხერილმა, გულგადეღილმა და ჯმუხი სახის მქონე მეცხვარემ მოგვაშორა ისინი და მეცხვარეობის დირექტორთან მიგვიყვანა. დირექტორი ზორბა, ახოვანი და წითური კაცია. ჩექმა და ფრენჩი აცვია, თავზე ბეწვის ქუდი ხურავს. პატარა სახლის ოთახში შეგვიყვანა. იგი ციხისთავის კარგი ნაცნობი და მეგობარი აღმოჩნდა: ტახტსა და სკამებზე დავჯექით, დავისვენეთ და შემდეგ ჩაი და რძე მოგვართვეს. დირექტორის ოთახის კედელზე ჩონგური, ლაგამი-ავშარა და მათრახი ჰკიდია. დირექტორი მუდამ ცხენზე ზის. იგი ხან ერთი მთის მწვერვალზეა და ხან მეორეზე. აივანზე მაღალი მთის მცხუნვარე მზით გარუჯული და მოსული ვაჟკაცები—მეცხვარეები შემოლაგდნენ დიდბეწვიანი ბუხრის ქუდებით დირექტორი გვაცნობს უდაბნოს საბჭოთა მეურნეობას, მეცხვარეობას, ვათვალიერებთ ფერმებს, ფარეხებს, საპარსავს, სამკურნალო პუნქტებს. ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს რძის წარმოება. შევდივართ ქრბო. კარაქის და ყველის სამეფოში.

უდაბნოს მეცხვარეობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობისაა ჩვენი მეურნეობისათვის მეცხვარეობა: იგი რძისა და მატყლის პროდუქტებს გვაძლევს. წინათ საქართველოში 5 მილიონი ცხვარი იყო და ნაწილი არდაგან-ყარსის საზაფხულო საძოვრებზე გადადიოდა. 1918 წელს მენშევიკური ხელისუფლების დროს მესხეთ-ჯავახეთის დიდძალი საბალახო საძოვარი ტერიტორია ჩამოიჭრა. გარდა ამისა, იმავ 1918 წელს მთელი მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა, თავისი ჯოგით და ცხვრის ფარით გამორეკილ იქნა ოსმალეთის მიერ და ცხვარი განადგურდა. ამნაირად, იმპერიალისტურ ომის დროს და მენშევიკურ ხელისუფლების ბატონობისას თითქმის სულ მთლად მოისპო ცხვარი. გასაბჭოების შემდეგ ცხვარმაც იწყო გამრავლება, იგი 2 მილიონამდე ავიდა. ვინაიდან ეს რიცხვი ჩვენში არ დაეტეოდა, ამიტომ წინანდელი საძოვრები იჯარით ავიღეთ ოსმალეთიდან ხელშეკრულების თანახმად 1927 წელს 120 ათასი ცხვარი გადავიყვანეთ ოსმალეთიდან იჯარით აღებულ საძოვრებზე. ზაფხულობით დიდძალი ცხვარი ძოვს თელავის, მთათუშეთის, დაღესტნის, ქცის და ჯავახეთის საძოვრებზე. საზამთროდ კი მოერეკებიან შირაქში. უდაბნოში (კახეთი), ელდარში. საძოვრების ფართობები მთებია. თუ წინათ ერთ ჰექტარზე 10 სული ცხვარი მოდიოდა, ახლა 4—5 სულამდე მოდის და საძოვრებიც უფრო ნოყიერია. ზარალიანობა გამოწვეული იყო ტერიტორიის ნაკლებობით. ცხვარი კლებულობდა და იხოცებოდა აგრეთვე ცუდი პირობების და სხვადასხვა ავადმყოფობის გამო, რასაც წინადროის ჩამორჩენილი მეცხვარე ღვთისგან მოვლენილ უბედურებით ხსნიდა. ასეთი სურათი იყო 1928 წლამდე. ცხვრის გამრავლებას პირველად მიმართა საბჭოთა მეურნეობის ტრესტმა. ცუდი პირობები იყო. დადიოდენ ტრესტის წარმომადგენელნი და ყიდულობდენ ცხვარს. ცხვრის შეძენა მაშინ საძნელო გახდა. მეცხვარეები არ ყიდიდენ ე.-წ. საყოლე-სადჯიშე ცხვარს, ვერ ელეოდენ მას, ვინაიდან მისი გაყიდვა ცოდვად მიაჩნდათ მწყემსებს. მიუხედავად დაბრკოლებათა, 1927 წელს მაინც შესყიდულ იქნა 500 ცხვარი და ეს გარემოება მაშინ დიდ მიღწევად ჩასთვალეს და დეპეშაც კი გაუგზავნეს მოსკოვში რუსეთის მეცხვარეთა ტრესტს. 1929 წელს უკვე 1.500 ცხვარი იყო უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობას ხელშეკრულება ქონდა დადებული რუსეთის მეცხვარეთა ტრესტთან და თანხებს ამ ტრესტიდან ღებულობდა ცხვრის შესაძენად. შემდეგ კარგი ხელმძღვანელობის გამო უდაბნოს საბჭოთა მეურნეობამ ის თანხებიც გადაიხადა და საკუთარი წყაროებიც გაიჩინა. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე ხდებოდა მდიდარ მეცხვარეების განკულაკება. მაგრამ ახლადშობილ საბჭოთა მეურნეობის მოუმზადებლობის გამო ცხვრის მოვლა. დაპატრონების საკითხი პირველ პერიოდში ვერ იქნა სათანადოდ მოგვარებული, რამაც თავის დაღი დაასვა საქართველოს მეცხვარეობასაც. ცხვარი ჩამოერთვა კულაკებს, რომლებმაც პროვოკაციით უპასუხეს კოლექტივიზაციას. ცხვრის ჩამორთმევის შიშით საშუალო მეცხვარე დაუდევრობას იჩენდა ცხვრის მოვლა-მოშენებაში, ხდებოდა ცხვრის გაფლანგვა ახლომახლო ქალაქების ბაზრებზე სპეკულიანტების და ჩარჩ იაჭრების მეოხებით. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მეცხვარე საკუთარ ხელით სჭრიდა ყელს საყოლე და დედა ცხვარს.

მაშინ შირაქის მეურნეობა არ იყო ჩამოყალიბებული, იყო მხოლოდ უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა. ცხვარი თითქმის განახევრდა: დიდი ბრძოლა ჩატარდა როგორც ზემოაღნიშნულ პროვოკაციის წინააღმდეგ, აგრეთვე მწყემსთა ცრუმორწმუნეობასთანაც. მწყემსები და გლეხები ავადმყოფ ცხვარის მოსარჩენად არ მიმართავდენ საქონლის ექიმს. მუცლის ჭიით დაავადებულ ცხვარს ისინი აქიმობდენ ნაკურთხი, მძივით ან სხვა რაიმე უბრალო ნივთით, რომელსაც თითქოს ჯადოსნური ძალა აქვს. ახლა იმავე მწყემსებმა, რომლებიც უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის წევრები გახლავთ, კარგად იციან ცრუმორწმუნეობის მავნებლობა. იციან, თუ როგორ უწამლონ ბატკანს, ცხვარს მუცლის ჭიის, შუაყაყის გაჩენისას ან ცხვართა გარეტების და გაგიჟების დროს, რომელიც გამოწვეულია ტვინში პეპლების გაჩენის გამო. ცხვრის ავადმყოფობის დროს მწყემსი აქ ახლა დაუყოვნებლივ მიმართავს ექიმს და არა შელოცვას, ნაკურთხი მძივის ძალას და შარდს. უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში შემავალი მეცხვარეები დგებიან კულტურულ მეურნეობის გზაზე. თუ წინად მეცხვარე არ იცვლიდა საცვლებს და ტანზე ილპობდა იმის შიშით, რომ პერანგის გარეცხვასთან ერთად ცხვარიც გაერეცხებოდა, დაეხოცებოდა. ახლა იგივე მეცხვარეები საპონს ყიდულობენ, საცვლებს იერეცხავენ და წარსულ თავის შეხედულებაზე ეცინებათ. ისინი მომარაგებული არიან მეურნეობის მიერ კულტურულ ცხოვრებისათვის და მასთან ერთად თვით მეცხვარის შეგნებაშიაც მოხდა გარდატეხა და ძველი ტრადიცია ჰარ დავიწყებას მისცა. მეცხვარეთა კულტურული დონე თანდათან მაღლა იწევს. მიმდინარეობს წერა-კითხვის ლიკვიდაცია და სხვ. უნდა გენახათ, თუ როგორის ინტერესით შემოერტყენ მეცხვარეები და ესაუბრებოდენ ამხ. ციხისთავს, ოდესღაც ცხვარში ნამყოფ მოჯამაგირეს, ეხლა კი ერთ-ერთ ინსტიტუტის ასპირანტს. ასეთი სასიქადულო გზა ბევრმა გაიარა გასაბჭოების შემდეგ. უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა დაყოფილია 4 ფერმად. ასეთი დაყოფა მიზანშეწონილია, ვინაიდან 50 ათასი ცხვრის ხელმძღვანელობა მეცხვარეობის მთელი მეურნეობის ერთ ორგანიზაციას გაუჭირდებოდა. ყოველ ფერმას თავისი საკუთარი სამეურნეო-საანგარიშო გეგმა აქვს. პროდუქტები: მატყლი, კარაქი, ყველი, რძე და სხვ. ბარდება მტკიცე ფასებში მთავრობას, წლიურად 250 ცენტნერი უნდა ჩაბარდეს. ზამთრით უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის ცხვარი უდაბნოშია (გარე-კახეთი). ხოლო ზაფხულს კი, როგორც უკვე ვთქვით, ქციაში, ცხრაწყაროს მიდამოებში. ამ მეურნეობის უფრო კარგ უზრუნველყოფისათვის დაწყებულია მეურნეობათა სხვა სახის განვითარებაც. დღეს პურით მომარაგება წარმოებს მთავრობის ფონდის საშუალებით. ახლა უდაბნოში საკუთარ ძალით იწყებენ საჭირო წყაროების მოპოვებას. მეურნეობაში 300-ზე მეტი თანამშრომელია: თითოს საშუალოდ 160 ცხვარი ყავს მოსავლელად მიჩნეული. ათას ცხვარზე ხუთი მწყემსი მოდის. არიან აგრეთვე მეჯოგე. მეჯინიბეები და სხვანი. დამხმარე მეურნეობას წარმოადგენს: მემინდვრეობა, მეძროხეობა, მეცხენეობა და სხვ. უდაბნოს მეცხვარეობას სჭირდება 60 ცხენი. ხენათესავს კიდევ განსაზღვრული რაოდენობა საქონლისა და სხვ. ზამთრით ცხვარს თივით კვებავენ და ამიტომ თივის საკუთარი მარაგი სჭირდებათ. წელს 3 ათასი ჰექტარი ქონდათ გათიბული. გარდა ამისა უდაბნო მოკლებულია ტყეს, ხეებს, საფარს. ახლა რგავენ ბუჩქებს, აშენებენ აკაციის და სხვა ჯიშის ხეს, რათა გაიჩინონ საჩრდილობელი ადგილი. ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად შეჯვარება სწარმოებს მუდამ ჟამს. მერინოსების შეჯვარება ხდება თუშურ ცხვართან. შეჯვარებას ეჭირვება მთელი თაობები, რომ ცდის შედეგები საბოლოოდ განმტკიცდეს. რიგდება სხვადასხვა ჯიშის ცხვარი და უნდა გამოირკვეს თუ რამდენად შეეფერება ის ჩვენ ჰავას, მომთაბარეობას და სხვა სპეციფიურ პირობებს. სხვათაშორის უარყოფილია მერინოსები, რომელთა რბილ და შესანიშნავ მატყლიდან ქსოვენ ძვირფას შალეულს, შევიოტსა და სხვ. ინგლისური ჯიშის ცხვარი ლინკოლნი უფრო შეეფერება ჩვენ პირობებს. როცა უცხო ჯიშთან აქვთ საქმე განერგვა ხდება ხელით, ვინაიდან მერინოსის ჯიშის ყოჩები, შედარებით თუშურ ყოჩთან, უფრო სუსტი და უჯიგრო ხაწარმოო გამნერგველები არიან. ვათვალიერებთ კულტურულ ფარეხებს, საპარსს, ფერმებში რძის წარმოებას. ბზრიალებენ სეპარატორები, გულმოდგინედ მუშაობენ მუშები და ჩვენ თვალწინ რძე კარაქად იქცევა. ყოველივე რძისა და კარაქის სუნით არის გაპოხილი. კუთხეში ბრგვალი ყველი მთებივით აწყვია ერთმანეთზე. ფერმასთან მიმაგრებული არიან მესაქონლეები. ცალკე ფერმის გამგეები იგივე ყოფილი მეცხვარეებია, რომლებმაც იციან გულთბილი მისვლა მეცხვარეებთან და მათი მესაიდუმლენი არიან. იმათ იციან საზამთროდ დაბანაკებულ და საძოვრად გარეკილ ცხვრის მოვლა. დოლის დროს სათანადო დახმარების აღმოჩენა და სხვ. უკანასკნელად გავხედე ქცის, სახლებს, საერთო საცხოვრებლებს, სასადილოს, ფარეხებს, ფერმებს. იქ, სადაც მაჰმადიან და ქრისტიან მცხოვრებთა ჰიერ ერთმანეთის ცარცვა-გლეჯა და ხოცვა-ჟლეტა იყო გამართული. ახლა მშვიდობიანი ცხოვრება დამკვიდრებულა. ქცის უკაცრო, უშველ ველებზე ახლა უდაბნოს საბჭ. მეურნეობის მეცხვარენი ხელიხელ ჩაკიდული ჩაბმულან სოციალისტურ მშენებლობის ფერხულში.

◆

ყურძნის ახალი მოსავალი

[illegible] ტრესტის სიღნაღის რაიონის ყურძნის დამამზადებელ პუნქტში უკვე დაიწყო ყურძნის ახალი მოსავლის მიღება პუნქტმა უნდა დაამზადოს 3 ათასი ცენტნერი ღვინის პროდუქტი, პუნქტს უკვე გამზადებული აქვს სათავსო 2.209 დეკალიტრისათვის. ღვინო მზადდება, როგორც საექსპორტოდ, ისე ადგილობრივი ბაზრისათვის

ერთი საუკეთესოთაგანი საბჭოთა კავშირში



სურათზე: ვაჭრობა ახალი მაღაზიის ხილის განყოფილებაში.

3 სექტემბერს ტფილისში კომინტერნის ქუჩაზე საქ. ხილბოსტანკონსერვტრესტმა გახსნა მაღაზია, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია მთელს საბჭოთა კავშირში. აქ გამოყენებულია ვაჭრობის ტექნიკის ყველა უკანასკნელი მიღწევა. მაღაზია აკმაყოფილებს ყველა სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნას. მაღაზია მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას ჰყიდის. ვაჭრობის პირველ დღეს 14 ოქტომბერს, მაღაზიას ჰქონდა 13.438 მანეთის ბრუნვა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ათასი მანეთისა.

ბიბლიოგრაფია

„Экономика советской торговли". Учебное пособие для ВУЗов и ВТУЗов; Секция совет. торговли Института Экономики Комакадемии. СОУЭКТИЗ. 1933 г. 333 стр

სახელმძღვანელოს პირველ თავში განხილულია საბჭოთა ვაჭრობის არსება, და ამასთან ანტი-ლენინურ შეხედულებათა სისტემის კრიტიკა, მაგრამ ეს ეკსკურსია არ გვაძლევს საფუძვლიან ცოდნას ისეთ მომავალ პრობლემებზე, როგორიცაა სოციალისტურ განაწილებაზე გადასვლის პრობლემა და განმანაწილებელ აპარატის არსების პრობლემა კომუნიზმის პერიოდში დავიწყებულია, რომ ყველა ეს საკითხი შეიცავს პრობლემების ერთობლიობას და მათი იზოლირებული განხილვა უდრის მეთოდოლოგიურ შეცდომას. მაგალითად, ანტილენინურ შეხედულებათა კრიტიკის სრულყოფა ნიშნავს, რომ უკვე დასაბუთებულია საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ წარმოადგენს საბჭოთა ვაჭრობა განვლილ ეტაპს — სოციალიზმის პირველ პერიოდში. სახელმძღვანელო კი ამ სერიოზულ პრობლემებზე აკეთებს შემდეგ უმნიშვნელო განცხადებას: „პირდაპირ განაწილების სისტემაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნება გეგმიანობის ისეთი ბაზა, განაწილების ტექნიკის ისეთი ათვისება, როცა უმტკივნეულოდ გაქრება „მანეთით კონტროლი" და სხვ. (გვ. 23). ან კიდევ: „პირდაპირი განაწილების გზა მდებარეობს საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საშუალებით, საბჭოთა მანეთის განმტკიცების საშუალებით". რა თქმა უნდა, ეს არ არის პირდაპირ განაწილებაზე გადასვლის ძირითადი გზა. სუსტად არის გადმოცემული წარმოების გადამწყვეტი როლი, წინააღმდეგობის მოსპობა ეკონომიკის საქალაქო და სასოფლო-სამეურნეო დარგებს შორის. არაფერია ნათქვამი წინააღმდეგობის მოსპობაზე მასასა და ავანგარდს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის (უპირატესი განაწილების სისტემის მოსპობა) ფუნქციების დასახელების დროს, გამოტოვებულია საბჭოთა ვაჭრობის როლი სოციალისტური მოხმარების ზრდაში და სხვ.

გაკვრით არის აგრეთვე მოხსენებული სასაქონლო ფულადი ფორმის აუცილებელი საკვდილი — კომუნიზმის პერიოდში.

მართალია, წიგნში ცალკე თავად არის გაშუქებული ისეთი პრაქტიული პრობლემები, როგორიცაა ფასების საბჭოთა პოლიტიკა, მიმოქცევის ხარჯები და შრომა, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო ამ პრობლემების ძირითადი წანამძღვარების გამოყენება კურსის იმ თავშიც, სადაც შუქდება საბჭოთა ვაჭრობის არსება და არა მათი გაკვრით მოხსენიება, რადგან ყველა ეს პრობლემა წარმოადგენს საბჭოთა ვაჭრობის არსების გამაღებს.

წარმოებისა და ვაჭრობის სპეციფიკური ფუნქციათა საზღვრებზე დავა და ამ ფუნქციათა აღრევა, წარმოადგენს საბჭოთა ვაჭრობის დიდი არსის გაყალბების სათავეს.

ამ სადაოდ გამოცხადებულ საკითხზე სახელმძღვანელო არსებითად სდუმს და მხოლოდ გაუბედავად აღნიშნავს: „რამდენადაც საბჭოთა ვაჭრობა ემსახურება სოციალისტურ წარმოებათა საზოგადოებრივი პროდუქტის ბრუნვას, იმდენად საბჭოთა ვაჭრობის აპარატი ბუნებრივად დატვირთულია წარმოების პროცესების გაგრძელებით მიმოქცევაში" (88 გვ.). ეს განცხადება არსებითად არაფერს არ ხსნის. „დატვირთულია". მაგრამ, როგორია ეს ფუნქციები და ვის ეკუთვნიან ისინი? ხომ არ შეიძლება ამ ფუნქციით აიხსნას კავშირი წარმოებასა და ვაჭრობას შორის როგორც ეს მაგალითად, ამხ. დემენტიევს ესმის? ან როგორ უნდა გავიგოთ სამრეწველო ტექნიკის პროგრესის იმ მხარის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენში, რომლითაც „ვაჭრობის სპეციფიური ფუნქცია ვითარდება წმინდა სახით" (მარქსი) და სხვ.

სახელმძღვანელოში კაპიტალისტური ვაჭრობა არ არის განხილული ცალკე თავად

სახელმძღვანელოს უდიდეს დეფექტად ჩაითვლება აგრეთვე ის, რომ მასში არ არის გაშუქებული საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის საგანი და მეთოდი. თუ ჩვენ სახელმძღვანელოდ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკა წარმოადგენს სპეციალურ თეორიულ დისციპლინას — თეორიული ეკონომიის კონკრეტულ კანონებზე, მაშინ დისციპლინა ვალდებულია გაგვირკვიოს თავისი თეორიის ობიექტი და კვლევის მეთოდიც (ვგულისხმობთ ერთიანი მეთოდის კონკრეტულ ფორმებს).

სახელმძღვანელო არაფერს გვასწავლის აგრეთვე საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის დამოკიდებულებაზე პოლიტიკურ ეკონომიასთან. და კერძოდ, საბჭოთა მეურნეობის თეორიასთან.

კარგად არის გაშუქებული: ცენტრალიზებული დამზადებები, საკოლმეურნეო ვაჭრობა, მუშათა მომარაგება, ფასების საბჭ. პოლიტიკა და მიმოქცევის ხარჯები. კარგი იქნებოდა, რომ დაგეგმვა-მოწესრიგების მეთოდიკაც წიგნში გამოყოფილიყო ცალკე თავად, რომ სპეციალურ ეკსკურსიაში დასახა ძირითადი წანამძღვრები მისთვის

სახელმძღვანელოს მომავალში უსათუოდ ესაჭიროება ალაგ-ალაგ შევსება და ალაგ-ალაგ შემცირებაც. რომლის დროსაც ინსტიტუტის საბჭოთა ვაჭრობის სექციამ უნდა იხელმძღვანელოს ჩვენი შენიშვნებითაც. თუ უნდა, რომ სახელმძღვანელომ პასუხი გასცეს გაზრდილ თეორიულ მოთხოვნილებების დონეს ს.ს.რ.კ-ში.

შოთა გოგუა.

გამოცემები

მხატვრული ლიტერატურა

ვასილ ბარნოვი — ფერად-ფერადი.

ე. პოლუმორდვინოვი—ილოიძეები მთები რომანი. გამ. სახელგამისა.

ლ. ქიაჩელი—ნოველები. გამოცემა სახელგამისა.

გ. ქუჩიშვილი — ლექსები. გამოცემა სახელგამისა.

ა. პუშკინი—პოემები.

გამოვიდა აგრეთვე:

მალაქია ტოროშელიძე — ქართული ლიტერატურა მოხსენება საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე.

სამკურნალო წყაროები

მახარაძის რაიონში

ნასაკირალის წყაროები ცნობილია როგორც საკმაოდ ძლიერი სამკურნალო ფაქტორის მქონე წყლები. მრავალი ავადმყოფი მიდის იქ სამკურნალოდ. მიმდინარე წელს იქ 7 ათასი ავადმყოფი გატარდა. ამ წყაროების მხოლოდ ქიმიური ანალიზი არის ჩატარებული. არც გეოლოგიურად და არც რადიოაქტივობის მხრივ ისინი გამოკვლეული არ არის. ნასაკირალის წყაროების კეთილმოწყობას, როგორც რაიონულმა ორგანიზაციებმა, ისე საქართველოს მთავარმა საკურორტო სამმართველომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ

მეორე სამკურნალო წყარო აღმოჩენილია **მთისპირის სოფელში;** ქვის ძირას ამოჩუხჩუხებს გოგირდოვანი წყალი, რომელიც გამოსცემს გოგირდ-წყალბადის დამახასიათებელ სუნს. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, აღნიშნული წყარო კარგად მოქმედებს გულის დაავადებაზე. მთისპირის სოფლის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს სათანადოდ მოაწყოს ეს წყარო. ამჟამად ჯანსახკომის ქიმიურ ლაბორატორიაში იკვლევენ ამ სამკურნალო წყლის შემადგენლობას.

მესამე წყარო აღმოჩნდა ბახმაროს მახლობლად **„მთა-ნისლიანზე"**. ვიღაც მონადირეს დეკემბრის სუსხიან დღეში ნადირობის დროს შეუმჩნევია ერთი ადგილი, სადაც თოვლი სრულიად არ იყო. ცნობისმოყვარე მონადირე მისულა იმ ადგილას და უნახავს თბილი წყარო. წყლის ტემპერატურა 24°C უდრიდა **ზოტის-ყელის** მცხოვრებნი აღნიშნავენ, რომ რევმატიზმით დაავადებულებზე ეს წყარო კარგად მოქმედებს ამ წყაროსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და, თუ ის კარგი სამკურნალო ღირსების აღმოჩნდა, ადვილად შეიძლება მისი ბახმაროზე გაყვანა, რაც ბახმაროს მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის.

ზ. კუნჭულია

აღლუმზე მონაწილეობისათვის მზადება

აღლუმს „მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის", რომელიც ა.-წ. 25 ოქტომბერს იმართება, განსაკუთრებულ სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა. ამ აღლუმზე შემოწმდება ჩვენი მშრომელთა ფართო მასების სამხედრო თვითმომზადება, ცოდნა, და მათ მიერ სამხედრო მეცადინეობის გარეშე ჩატარებული მუშაობა.

აღლუმის ჩასატარებლად საქ. სარეწაო კავშირმა დროზე გაშალა მუშაობა.

გაწყობილია აღლუმზე მონაწილეობის და სამხედრო მეცადინეობის ჩამტარებელი შტაბი (ამხ ხაკოვა, სამხედრო კომისარი ამხ მელქაძე ასეულის უფროსი ამხ. ალადაძე).

სამხედრო მეცადინეობა ა.-წ. 30 სექტემბერს დაიწყო.

გაშლილი სოცშეჯიბრებისა და კონკრეტული მუშაობის საფუძველზე 100 პროც. უზრუნველვყოფთ საალღუმო მომზადებას.

ვ. კახიძე

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი ექსპედიცია სამხრეთ-პოლიუსისაკენ

„პრავდა"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება:

„უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებში და ინგლისში თვალსაჩინოდ გაიზარდა ინტერესი იმ უზარმაზარი ტერიტორიის — ანტარქტიის გამოკვლევისადმი, რომელიც აკრავს სამხრეთ პოლიუსს.

გარდა ორი ამერიკული ექსპედიციისა—ბერდისა და ელსუორსის — ამჟამად მზადდება მესამე — ინგლისური ექსპედიცია. როგორც „მანჩესტერ გარდიან"-ი იუწყება, უახლოეს დროში ლონდონიდან ანტარქტიკისაკენ გავა პოლარული ექსპედიცია, 14 კაცის შემადგენლობით, მკვლევარ რიმილის მეთაურობით. რიმილს განზრახული აქვს დაბანაკდეს გრეხემის მიწის დასავლეთ ნაწილში, წაიწიოს სამხრეთისაკენ იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მისცემენ ყინულები და დაჰყოს იქ ორი წელი. ექსპედიციას თავის განკარგულებაში ჰყავს შხუნა „პენოლა", 200 ტონა წყალწყვით და სამმოტორიანი თვითმფრინავი. თავისი სადგომიდან რიმილი ჰაერიდან გამოიკვლევს მიდამოებს ვედელის ზღვის გასწვრივ და აგრეთვე მოაწყობს ექსპედიციებს ძაღლებით.

მეცნიერულის თვალსაზრისით რიმილის ექსპედიცია წარმოადგენს ბერდისა და ილსუორსის ექსპედიციების დამატებას. ძირითადად იგი ისახავს იმავე მიზანს, რასაც ისინი — ანტარქტიკის გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ გამოკვლევას.

საქმე იმაშია, რომ ანტარქტიკის სახელწოდებით ცნობილი ტერიტორია თავისი აგებულობით ორ ნაწილად იყოფა ატლანტის ოკეანესა და ინდოეთის ოკეანისაკენ მიქცეულ მხარედან იგი შესდგება წამოწეულ ძველ კლდოვან პლატოდან, რომელიც დაფარულია ყინულებით. თავისი აგებულობით ეს პლატო დასავლეთ ავსტრალიისა და აფრიკის ანალოგიურია. წყნარ ოკეანის მხრიდან ანტარქტიკა წარმოადგენს ახალგაზრდა კლდოვან ნაპირს, სამხრეთ ამერიკის ანდების მონათესავე ხასიათით. ანტარქტიკის ნაპირები საკმაოდ არის გამოკვლეული, მაგრამ შიდა ნაწილი თითქმის სრულიად უცნობია. მკვლევარებს წინაშე დგას საკითხი: სად უერთდება ერთმანეთს აგებულობით სხვადასხვა მატერიკი, ხომ არ არიან ისინი დაშორებული ერთმანეთისაგან წყლით. რას წარმოადგენს ანტარქტიკა — ორ ცალკე მიწას, თუ ერთ მთლიან მატერიკს?

ამ ამოცანის გადაჭრას ისახავს მიზნად ბერდის, ილსუორსის და რიმილის ექსპედიციები".

ტფილისში მოძრაობის დივიზიონის საუკეთესო რიგოსანი ამხ. **ნავიცკი.**

ხელოვნება

მოზარდ მაყურებელთა თეატრი

1934 წლის 30 აპრილს მოზარდ მაყურებელთა თეატრმა გადაიხადა თავისი არსებობის 5 წლისთავი. იუბილე.

იუბილემ შეაჯამა თეატრის განვლილი მუშაობის მიღწევები და ნაკლი, აგრეთვე დაისახა მომავალი მუშაობის ამოცანები; თეატრი სრული პასუხისმგებლობით შეუდგა ამ ამოცანების გადაწყვეტას.

თეატრს განზრახული აქვს მისცეს ციკლი, ისეთ დადგმებისა, სადაც ისტორიული თანამიმდევრობით ნორჩი მაყურებლები გაეცნობიან კლასობრივ ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს ამ ციკლის დასაწყისი იყო „სურამის ციხე"

თეატრს განზრახვა აქვს ამის შემდეგ მისცეს მიხ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის" სცენიური გაფორმება.

წელსვე თეატრის წინაშე დგას უდიდესი სერიოზული ამოცანა — მოგვცეს საბავშვო ზღაპრის სცენიური გაფორმება. ამ მიზნით რეპერტუარში შეტანილია პიესა „მეზღვაური და შეგირდი", რომელიც გაკეთებულია ანდერსენის ზღაპრების მიხედვით. გარდა ამისა ორიგინალურ რეპერტუარიდან დადგმული იქნება: შ. კუჩავას და ბ. გამრეკელის „ჩვენ გავიმარჯვებთ", რომელიც ეხება ზანგების უმოწყალო ექსპლოატაციის და მათ რევოლუციურ თვითშეგნების ზრდას. ს. მთვარაძის „ორომტრიალი" — მოწაფეთა ცხოვრებიდან, სამსონის „დროშისათვის", საბჭოთა სკოლის ცხოვრებიდან გ. ბააზოვის პიესა „ჯონჯარი" და აგრეთვე მ. დარბინიანის პიესა „გიქორ", რომელიც გაკეთებულია ოვ. თუმანიანის მიხედვით.

თეატრი მოსამზადებელ მუშაობას შეუდგა 11 სექტემბრიდან. ძველი დადგმებიდან განმეორებული იქნება ს. მთვარაძის „სურამის ციხე", ნ. შესტაკოვის „შორეული გზით", ს. ქელიძის „გამომგონებლები" და აკ. ბელიაშვილის „რობინ გუდი". სეზონი გაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებში „სურამის ციხით".

რესპ. დამსახურებული არტისტი — **ალ. თაყაიშვილი**

გორის თეატრის ახალი სეზონი

ქ. გორის თეატრი თავის 1934—35 წლის სეზონს ხსნის 1-ლ ნოემბერს, ლევიტინის პიესა „განაჩენით".

მომავალი სეზონის სათანადოდ ჩატარებისათვის წინასწარავე ფართოდ იქნა გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა, გაძლიერებულ იქნა დასის შემადგენლობა, დაკვირით წესით მიმდინარეობს თეატრის შენობის რემონტი და სხვ.

მომავალი წლის სეზონის რეპერტუარში შეტანილია, „განაჩენის" გარდა, მთვარაძის „შირაქის გულში", ლავრენტიევის „რღვევა", დოლარეზის „მტრები" და ადგილობრივი მწერლების ქარელის „ფოლადის ნება" და ალ. ცაბაძის „ცეკვა ხანძარში".

თეატრს ხელმძღვანელობს რეჟისორი ალ. ალაზნის-პირელი.

ვინ უფრო ხნიერია

აი ლამის ბენ-ჰაათი თუ არტემ ლალიაშვილი?

ამას წინად გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა მსოფლიოში ყველაზე უფრო ხნიერი კაცის მოზოკოს (აფრიკა) მცხოვრებ **ხი ლაბიბ ბენ-ბაათის** შესახებ, რომელსაც 146 წელიწადი შესრულებია. როგორც ჩანს, ხნიერებაში მას შეუძლია შეედაოს სოფელ კუმისის (ტფილისიდან 10 კილომეტრის მანძილზეა) მცხოვრები ქართველი გლეხი არტემ ლალიაშვილი, რომლის ხნოვანება ჯერ სწორედ კიდევ არ არის გამორკვეული, მაგრამ დაახლოვებით 146—150 წელიწადს უდრის.

თუმცა არტემ ლალიაშვილი ახლო ღრმა მოხუცის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ დაუხმარებლად დადის და მსუბუქ სამუშაოებს ასრულებს ბოსტანში.

იგი სამჯერ დაქორწინებულა, ყავს 9 შვილი, მათგან ცოცხლად დარჩენილთა შორის ყველაზე უფროსი 80 წლისაა.

მუზეუმის ფოლკლორული ექსპედიციის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. კოტეტიშვილმა ექსპედიციის წევრებთან ერთად სექტემბრის დამლევს ინახულა არტემ ლალიაშვილი მის სახლში და ხანგრძლივად ესაუბრა მას.

ხნოვანების სწორად გამორკვევის მიზნით ვ. კოტეტიშვილმა მოხუცს მთელი რიგი შეკითხვები მისცა. მაგალითად, ჰკითხა იცნობდა თუ არა იგი პოეტ გრიგოლ ორბელიანს.

— როგორ არ ვიცნობდი, — უპასუხა ლალიაშვილმა,—ის ხომ ჩემი ბატონი და ჩვენ მისი ყმები ვიყავით.

შეკითხვაზე, რამდენი ხნით უფროსი იყო მასზე გრიგოლ ორბელიანი, მოხუცმა გაიცინა და თქვა:

— უფრო ხნიერი ის კი არა, მე ვარ. მე ცოტათი უფრო ხნიერი ვარ მის უფროს ძმაზე ილია ორბელიანზე, რომელიც შამილს ტყვედ ჰყავდა.

როგორც ვიცით. გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1801 წელს.

შემდეგ მოხუცს მისცეს შეკითხვა — ახსოვს თუ არა მას ლეკების შემოსევა მათს რაიონში? ლალიაშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა ლეკების შემოსევაზე, მოიყვანა რამდენიმე ეპიზოდი და დასძინა, თვითონ ვწინამძღოლობდი გლეხების რაზმს, რომელიც გამოეყო ლეკების მოსაგერიებლად.

ისტორიული ცნობების მიხედვით, ლეკების უკანასკნელი შემოსევა ამ რაიონში მოხდა 1810 წელს.

შემდეგ ლალიაშვილმა განაცხადა რომ მას კარგად ახსოვს დედოფალი თამარი, მეფე გიორგის ცოლი, და რუსების შემოსვლა საქართველოში (1801 წელს).

მას მეხსიერებაში დარჩენია აგრეთვე რამდენიმე შეხვედრა არსენა მარაბდელთან. საეკლესიო დღესასწაულებზე ბოლნისში, ორმოცში და თელეთში.

სხვა საკითხებს შორის მოხუცს ჰკითხეს, კარგად ახსოვს თუ არა ბატონყმობის მოსპობა?

ლალიაშვილს გული მოუვიდა, უარი თქვა პასუხის გაცემაზე და მხოლოდ განმეორებით. შეკითხვის შემდეგ უპასუხა:

— როგორ არ მახსოვს, ეს ხომ გუშინ იყო, მას შემდეგ ცოტა ხანია. მე მაშინ შეჭაღარავებული ვიყავი.

ლაპარაკი წარმოებდა ცის ქვეშ. როცა ამხ. კოტეტიშვილმა ამოიღო პაპიროსი და მოსწია, მოხუცი აღელდა და მიაძახა:

— გადააგდე ჩიბუხი! მე რომ ასეთი ჰაერი მესუნთქა აქამდე ჩემი ძვალი აღარ იქნებოდაო.

ამ მოხუცს მთელი ცხოვრება სოფლად გაუტარებია. ტფილისში უკანასკნელად ყოფილა ბატონყმობის გადავარდნამდე.

საუბარმა ლალიაშვილთან დიდი ინტერესი გამოიწვია. მან ბევრი რამ ილაპარაკა წარსულზე. კერძოდ, თქვა, ჩემი ახალგაზრდობის დროს სულ არ ყოფილა ზურნა, მის მაგიერ იყო, ფერხულის სიმღერები. კერძოდ „ზემკრელის" და „ბასტის" შესახებ, რომელიც დღემდე ლიტერატურისათვის უცნობია, მან ბევრი საინტერესო ცნობები მოიყვანა. მოხუცი გონივრულად და ჰუმორით მოუყვა ექსპედიციას ძველი ზღაპრებს: „როგორ გაჩნდა სიკვდილი", „რუსეთის მეფის უძლურება". ეს ზღაპრები მეტად ძვირფასია და ჯერ უცნობი.

მანვე მოიყვანა რამდენიმე ლეგენდა და მთელი რიგი ბიოგრაფიული ცნობები გრიგოლ ორბელიანზე, რის შემდეგ დაიღალა, გამოეთხოვა ექსპედიციის წევრებს და წავიდა.

* * *

საქართველოს მუზეუმი ახლო მომავალში ს. კუმისში გზავნის სპეციალურ კომისიას რომელიც უფრო დეტალურად შეისწავლის მოხუცის ხნოვანობის საკითხს.

გამარჯვებული სკოლა

ველისციხის (გურჯაანის რაიონი) საშუალო სკოლამ სკოლების რესპუბლიკანურ კონკურსში პირველის ჯილდო მიიღო. სკოლა დაჯილდოებულია ფიზიკური კაბინეტით, ხოლო სკოლის ადმინისტრაციას ჯილდოთ ორი თვის ხელფასი მიეცა. კონკურსში გამარჯვებისათვის სკოლამ მიიღო აგრეთვე რაიონის გარდამავალი დროშა.

სკოლა სანიმუშოდ მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის, რის გამოც რაიგანათლების განყოფილებამ სკოლას გადასცა პოლიტექნიკური შრომის ოთახის მოწყობილობა. სკოლასთან ერთი წელია რაც ჩამოყალიბდა და სანიმუშოდაც მუშაობს სალიტერატურო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს თვით სკოლის დირექტორი ამხ. დ. ჩხეიძე.

ქრონიკა

უპროცენტო სალაროს ანაბრების ტირაჟი

10 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე მეტყევეთა კლუბში დაიწყება ტფილისის შემნახველ სალაროების უპროცენტო ანაბრების მოგებათა გათამაშება.

— **მოხალისეთა პროფაქტივის კურსები.** მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან ამიერკავკასიის პროფსაბჭო ხსნის მოხალისეთა პროფაქტივის ორთვიან კურსებს. კურსებზე მიიღებიან მუშა სოცშემცვლელნი და პროფმოხალისეთა აქტივი.

— **ახალგაზრდათა კონფერენცია.** დღეს ტფილისის საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება ახალგაზრდათა პირველი კონფერენცია ლიტერატურის საკითხებზე, სადაც მწერალთა საკავშირო ყრილობის შედეგების და თანამედროვე ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ყრილობის დელეგატი ირ. აბაშიძე.

— **მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში** (ლენინის ქ. № 15) 10 ოქტომბერს შესდგება ჟურნალ „კლასთა ბრძოლას" მკითხველთა კონფერენცია. მოწვეული არიან: პარტაქტივი, პროპაგანდისტები, ჟურნალის მკითხველები, მასწავლებლები, ისტორიკოსები, ასპირანტები.

მოხსენებას ჟურნალის ამოცანების და მუშაობის შესახებ გააკეთებს სარედაქციო კოლეგიის წევრი ამხ. ლ. ფრუგე.

ნავთლუღის ქაღალდის ფაბრიკის მოწყობილობის შემოწმება.

სურათზე: საქ. ხილბოსტანკონსერვტრესტის სანიმუშო მაღაზიის (კომინტერნის ქ.) საკონსერვო განყოფილების გამყიდველი ამხ. გაბრიჩიძე ალაგებს ახლად მიღებულ კონსერვებს

სასამართლო

მექრთამე კომენდანტი

წითელ ჯარში სამსახური საბჭოთა მოქალაქის საპატიო მოვალეობაა. მშრომელებს სიხარულით და აღტაცებით შემოაქვთ განცხადებები მათი წითელ ჯარში მიღებაზე.

ასე იქცევა ყველა, ვინც არის საბჭოთა სახელმწიფოს პატიოსანი და ერთგული დამცველი. მაგრამ ასე არ მოიქცნენ კარაპეტოვი და კაციტაძე, რომლებიც ყოველგვარ ხერხს და ღონეს ხმარობდნენ, რომ დაძრომოდნენ წითელ არმიის სამსახურს. ჯარიდან განთავისუფლების მოწყობისათვის ისინი დაუკავშირდნენ ტფილისის რკინიგზის სადგურის კომენდანტს ძიძიგურს.

ძიძიგური ამ საქმეში გამოცდილი კაცია, ის „მფარველი ანგელოზის" სახით მოევლინა წითელ ჯარში სამსახურიდან თავარიდებულ კარაპეტოვს და კაციტაძეს

ვინ არის ძიძიგური?

ის ყოფილი აზნაურია, მეფის ჯარში მსახურებდა შტაბსკაპიტნად, მენშევიკების ჯარში ოფიცრის თანამდებობაზე... ნამდვილად მისგან ბევრი ცხელი დღეები და მუშტი-კრივი ახსოვთ ძველად ჯარისკაცებს.

მიუხედავად მრავალი აღმზრდელობითი ღონისძიებისა ხელმძღვანელ ორგანოების მიერ — ძიძიგური მაინც არ გამოსწორდა, ის კვლავინდებურად განაგრძობს ლოთობას, დებოშიორობას, ხელისუფლების სახელის გატეხას და ბოლოს მექრთამეობასაც ჰკიდა ხელი.

ძიძიგურმა, როგორც „დიდმა კაცმა" აკისრა რა თავის თავზე კარაპეტოვის და კაციტაძის განთავისუფლება, ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა და მიიყვანა ეს საქმე ბოლომდე არა იმიტომ რომ „შეეცოდა" კარაპეტოვი და კაციტაძე, არამედ იმიტომ, რომ „გამოსარჩენი" ჰქონდა.

პირველად „განთავისუფლებული" იქნა კარაპეტოვი. რომელსაც მისცა ყალბი შინაარსის ცნობა. რომ თითქოს ის თავისუფალია წითელ არმიის შეკრებიდან: კარაპეტოვიც სიკეთეს სიკეთით უხდის და ერთ მშვენიერ ღამეს სახლში ძიძიგურს ქრთამის სახით მიუტანა 100 მანეთი ძიძიგურმა ჩაიდება ფულები.

მექრთამე ძიძიგურს გაეხსნა მადა. ის მეძებარი ძაღლივით ეძებდა ჯარიდან შემდგომ განსანთავისუფლებელ კაცს და კიდეც ნახა ასეთი „კანდიდატი". ეს არის პარიკმახერი კაციტაძე.

სამხედრო ტრიბუნალი ამ დღეებში გაარჩევს ძიძიგურის, წითელ ჯარიდან თავარიდებულების კაციტაძის და კარაპეტოვის და სხვების საქმეს და მიუზღავს მათ ღირსეულ სასჯელს. საქმეს გაარჩევს სამხედრო ტრიბუნალი ამხ. ტიგიშვილის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის — სამხედრო პროკურორის ამხ. დ. ჭანტურიშვილის მონაწილეობით.

შიქია.

ველოსიპედისტების შეჯიბრება

მოსკოვი-ტფილისი.

11 და 12 ოქტომბერს ფიზკულტურის ცენტრალური გამგეობის ველო-სტადიონზე გაიმართება მოსკოვის და ტფილისის ველოსიპედისტთა შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ორივე ქალაქის საუკეთესო ველოსიპედისტები.

შეჯიბრება იწარმოებს საღამოს 4 საათიდან.

ჭადრაკი

რესპუბლიკების მაესტროთა შეჯიბრების საზეიმო დახურვა

გუშინ, 9 ოქტომბერს, იქ სადაც თვრამეტი დღის განმავლობაში ჭადრაკის დაფაზე ერთმანეთს ებრძოდნენ უკრაინის, ბელორუსიის და ა.-კავკასიის საუკეთესო მოჭადრაკეთა წარმომადგენელნი, მოეწყო ავსტრიელ მაესტროს კმოხის ერთდროული თამაშის სეანსი, რომელმაც უამრავი ახალგაზრდობა მიიზიდა. სეანსი მიმდინარეობდა 29 დაფაზე. დასაწყისში კმოხი სწრაფად უვლის ყველა დაფებს. მაგრამ ჩქარა ის შეფიქრიანდა: ახალგაზრდები თამაშობენ საკმაოდ დაკვირვებით და მათთან ადვილად მოგება შეუძლებელი ხდება. თვითეულ სვლას მაესტრო უკვე მოფიქრებით აკეთებს, რასაც მოჰყვა სამი მონაწილის ჩქარი დამარცხება.

მაგრამ უეცრივ ერთ კუთხეში ატყდა ხმაურობა, რომლის მიზეზი კმოხის დამარცხება იყო. კმოხმა ვერ შეამჩნია ახალგაზრდა ა. ლონდაძის მიერ დაგებული მახე, რომელიც ერთდროულად ემუქრებოდა პაიკს და ეტლს. მან გადაარჩინა პაიკი და სამაგიეროდ კი პარტია წააგო.

ხანგრძლივი თამაშის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს: მესამე საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლის მოწაფემ კობაიძემ (13 წ.), მე-43 შრომის სკოლის მოწაფემ ბებურიშვილმა (15 წ.).. ყაიმს მიაღწიეს: მე-43 შრომის სკოლის მოწაფემ ნიჩხუსიძემ (15 წ.) და მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლის მოწაფემ დ. გონგაძემ.

ოთხი საათის თამაშის შემდეგ. სეანსი დასრულდა შემდეგი ანგარიშით +24—3=2.

შედეგი უსათუოდ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირის მესამე თაობაც ღირსეულად იბრძვის საჭადრაკო ხელოვნების დაუფლებისათვის.

კმოხმა დიდი კმაყოფილება გამოსთქვა შეჯიბრების მონაწილეთა სიძლიერის შესახებ. დასასრულს ნაჩვენები იქნა კინო-ქრონიკა, რესპუბლიკების მაესტროთა შეჯიბრების მომენტებით.

დაბოლოს მოხდა დაჯილდოვება პირველი ხუთი გამარჯვებულისა ჩატარებულ შეჯიბრებაში. პირველი ჯილდო 1.000 მანეთის რაოდენობით მიიღო ვ. გოგლიძემ, მეორე 750 მანეთის რაოდენობით ვ. მაკოგონოვმა. მესამე, მეოთხე და მეხუთე ოთხასი მანეთის რაოდენობით მიიღეს: კმოხმა, რაგოზინმა და რაუზერმა. ამას გარდა მაესტრო გოგლიძეს რუსთაველის თეატრმა წლიური უფასო ბილეთი მიუძღვნა.

პ. ფ—ლი.

პარტკალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის წინადადებით ახლავე ამხ. ჭურცაკიძე (ყოფ. სახალხო მოსამართლე ზემო-სვანეთში) ორი დღის ვადაში გამოცხადდეს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის საბჭოთა ვაჭრობის განყოფილებაში ამხ. ჩერქეზიშვილთან (ოთახი № 76).

— იმ პირთ, რომლებმაც დაამთავრეს ტფილისის პარტაქტივის ბორჯომის კურსები, სათანადო საბუთების მიღება შეუძლიათ საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში ამხ. ფანცულაიასთან (ოთახი № 35).

ს. კ. პ. (ბ) ტფ ორგ ორჯონიკიძის სახელობის რაიონული კომიტეტი ამით აცხადებს წარმოება - დაწესებულებათა სამკუთხედების საყურადღებოდ, რომ 10 ოქტომბერს 7 საათზე ვოროშილოვის სახ კლუბში (კომინტერნის № 5)

შესდგება თათბირი

მუშა-მოსამსახურეების საშემოსავლო გადასახადის და კულტგამოსაღების ახალი დებულების განმარტებისა და აღმოჩენილ დეფექტების გაცნობის მიზნით.

წარმოება დაწესებულებების სამკუთხედების და ბუხჰალტრების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) ორგ. ორჯონიკ. სახ. რაიონული კომიტეტი

ოქტომბერი 6-30, 8. 9-30, 11.	ახალი მხატ. დოკუმენტალური ფილმი **ოლიმპიადა** ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნებაზე
დამკვრელი საზაფხ [illegible]-30, [illegible]. [illegible]-30, 11.	**ვერცხლის შარფი** მესამე სერია სეანსების დასაწყისი 6-30,
დამკვრელი ზამთ 6-30, 10, 11-15. ფოიეში ჯაზი	
ემში (საზაფხ.) 6-30	ახალი ლირიკული კომედია **„ალენის სიყვარული"**
თეთრი საზაფხ 7-45. 9-15. 10-45	**„ვერცხლის შარფი"** 1-ლი სერია.
„[illegible]"-ის სახელ 7, 8-30. 10	მხატვრული ფილმი **„უკანასკნელი ატრაქციონი"**
რ. ლიუქსემბურგის სახელობის 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი—მოლაპარაკე ფილმი **„ორჯელ შობილი"**
„კომინტერნი" საზაფ. [illegible] 4-15, 10.	მხატვრული კომედია **„ხანუმა**

დამკვრელსა და ლიუქსემბ. დღის სეანსები ბავშვებისათვის. დასაწყისი 12, 1-30.

სტალინის სახელობის ორთქმავლების შემკეთებელი ქარხნის კადრების განყოფილება აცხადებს, რომ გრძელდება სხვადასხვა სპეციალობაზე **ინდივიდუალური მოწაფეთა მიღება**

მიიღებიან წლოვანებით არა უმცირესი 16 წლისა და ცოდნით არა ნაკლები 5 კლასისა

მიღებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან პურის წიგნაკებით, რკინის გზელთა (საერთო წესით) უფლებებით და სტიპენდიით კვალიფიკაციის კვალობაზე 38 მანეთიდან 114 მანეთამდე. განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ წლოვანება და განათლების შესახებ ცნობები ხსენებულ კადრების განყოფილებაში.

5419 **კადრების განყოფილება.**

ტ. ს. ო. კ. პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე ხდება „მკერავის" მშენებლობის

დ. მ. კ.-ს ლიკვიდაცია

პრეტენზიების წარდგენის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 20 ოქტომბერი 1934 წ.

42 ლიკვ. კომ.

ექიმი

ი. ჭეიშვილი

სიფილისი. ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, დ საღამოს 6—8 საათ მისამართი კამოს ქუჩა № 72 (ალ [illegible]) [illegible] პირდაპირ

რუსთაველის თეატრი

რესპ. სახ. არტ. ს. ახმეტელის ხელმძღ-ბით

1934-35 წ. სეზონი

1934—35 წლის სეზონისათვის საქ პროფ. საბჭოსთან არსებულ „ბრობ"-ს (მეორე სართული, ოთახი № 5) მთელ რიგ აბონემენტები გადაეცა **მოსწავლე ახალგაზრდობისათვის** (ტექნიკუმებისა და შრომის სკოლების) **შეღავათიანი აბონემენტები.** აბონემენტები გაიცემა მხოლოდ **კოლექტიური დაკვეთით.**

სეზონის გახსნა 14 ოქტომბერს.

ექიმი

გ. ნ. ოგანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის დაავადება სქესობრივი უძლურების მკურნალობა.

ავადმყოფთა მიღება დილ. 9½—12-მდე, საღ. 5½—8-მდე. ნინოშვილის ქ. № 5 (ყ. ალექსანდროვის) ფაბრიკა „მკერავი"-ს პირდაპირ.

308

ტ. ს. ო. კ. დახურული კოოპერატივის გამგეობა აცხადებს, რომ ხდება ზემოაღნიშნული

კოოპერატივის ლიკვიდაცია

თანახმად ტ. ს. ო. კ. პრეზიდიუმის დადგენილებისა. დაინტერესებულ ორგანიზაციებიდან პრეტენზიები წარმოდგენილი უნდა იქნას ა.-წ. 20 ოქტომბრამდე, შემდეგ არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

[illegible] ქუჩა № 7, ოთახი 54, ოხოში

412 ლიკვიდკომი.

რკინ გზელებო!

იკითხეთ და გავრცელეთ თქვენი გაზეთი

„ელექტრიფიკაცია"

რომელიც არის ა. კ. რკ. გზების მეორე განყოფილების პოლიტგანყოფილების ორდღიური გაზეთი.

ხელისმოწერის პირობები:

1. წლიწადში	—9 მანეთი.
2. 6 თვით	—4 „
3. 3 თვით	—2 „
4. 1 თვით	—75 კაპ.

შეკვეთები გადმოგზავნეთ შემდეგი მისამართით: ტფილისი, ვაგზლის ქ. № 15, „ბოლშევიტსკაია პუტიოვკას" გამომცემლობას. 4-

საქ. რესპ. სააღრიცხვო კომბინატის მე-1-ლი ფილიალი

იღებს მსმენელებს

მოანგარიშეობის და საბუღალტერო

დარგებზე,

ფილიალი სამეურნეო ანგარიშზეა სწავლა ქართულ და რუსულ ენებზე პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე საღამოს 6—9 საათამდე.

ავლაბარი, ვარდის მოედანი № 7, 8 სკოლის ბინა.

5-26 კომბინატის დირექცია.

ტფ. წყალ-კანალის სამართველოს თანამშრომლები იუწყებიან ძველი თანამშრომლის **ივანე კალინოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 ოქტომბერს 4½ საათზე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 39.

კარლო, დათიკო ლეკვეიშვილები დავით, ვასილ. მიტო კოპალეიშვილები, კ. ხეთერელი, ს. სტურუა, შ. ვაშაკიძე იუწყებიან **სერგო ვასილის-ძე ლეკვეიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 ოქტომბერს იანეთში.

სოფიო თავის შვილი პეპელოთი იუწყებიან **ივანე სტეფანეს-ძე კალინოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10 ოქტომბერს 4½ ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 39

საშიკო, ლიზა და თამილა გაბესკირია მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის **ციცუ გაბესკირიას** გარდაცვალებას.

ლილი და შალვა ყუფარაძე, რუსიკო და ქეტო კემულარია, პეტრე თევზაძე, შურა ბოკერია, სოსო წულეისკირი, პავლე შენგელია და ლეო ხომერიკი იუწყებიან ბოჩია გაბესკირიას დედის **ციცუ გაბესკირიას** გარდაცვალებას. ქვ. 5415

საქ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო იუწყება ნიკოლოზ კუპრაძის დედის **ივლიტე ნიკოლოზის-ასულის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10 ოქტომბერს, 5 ს. რკინის გზის საავადმყოფოდან. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ქვ. 5418

შვილი თამარი, სიძე გოგია, შვილიშვილები მიტო და ტასიკო იუწყებიან **ანდრია გაბრიელის-ძე ჩუბინიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მეჯვრისხევში. ანგ. 630

მეუღლე ანნა, შვილები შოთა, მარიამი, ძმა არსენი, რძალი ძაძე, ძმისწული გივი, სიძეები იუწყებიან **ლევან ეგნატეს-ძე სიგუას** უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 10 ოქტომბერს 6 ს. შერემეტიევის ქუჩა № 49. დაკრძალვა 11 ოქტომბერს კუკიის სასაფლაოზე 4 საათზე. ქვ. 5425.

ვალ. გოგიბერიძე, შ. ქუთათელაძე, გ. კორძაია, ალ. გრატიაშვილი, ნ. მაჭავარიანი, შ. ლეჟავა, მ. ლორთქიფანიძე, არჩ. ჯოლობერიძე, ა. ამაშუკელი, ის. ზერეკიძე, გ. სიხარულიძე იუწყებიან ამხ. ნიკოლოზ ლუკას-ძის კუპრაძის დედის **ივლიტე ნიკოლოზის-ასულის** გარდაცვალებას. ქვ. 5417

მეუღლე იასე ცინცაძე, დედა მარიამ ზურაბის ასული ცაგარეიშვილი შვილებით და სიძეებით იუწყებიან, რომ 12 ოქტომბერს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **მარულია ცაგარეიშვილი-ცინცაძის** ხსოვნის აღსანიშნავად. ქვ 5422

დედა დონიკო, ძმა ბიქტორ და ანიჩკა რძალი ლუბა ძმისწული არნოლდი კოპლატაძეები იუწყებიან **ნადია კოპლატაძის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 ოქტომბერს ს. ლიხაურში (მახარაძის რაიონი). ქვ. 5421

მისამართები რედაქციის: რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის: რუსთაველის პროსპ. № 84 ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06.88, მასობრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—78 40, სტამბის 3—27—04.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა. 8428.